


ქვეყანა




55

ქვეყნის



საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოება
ГРУЗИНСКОЕ ОБЩЕСТВО ОХРАНЫ ПАМЯТНИКОВ КУЛЬТУРЫ
GEORGIAN SOCIETY FOR PROTECTION OF CULTURAL MONUMENTS

თარგმანი
ბიზუიროთეკა



ამ და გარეკანზე — ჭამე სოფ. ჩიქუნეთიდან (აჭარა).

Здесь и на обложке — Джама из сел. Чикунети (Аджария).

პულოცავი იუბილარს

ბიორბი სპირიდონის ძე ჩიბაია
90 წლისაა

პატივემულო ბატონო გიორგი, საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი და კრებულ „ძეგლის მეგობრის“ რედაქცია მოგესალმებათ თქვენ, გამოჩენილ მეცნიერს, ქართული საბჭოთა ეთნოგრაფიული სკოლის პატრიარქსა და ღვანდმოსილ საზოგადო მოღვაწეს და გილოცავთ დაბადებიდან 90 წლისთავეს.

თქვენი მეცნიერული ღვაწლი დიდი ხანია შორს ვასცდა ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს და მან საერთო საყოველთაო აღიარება პოვა.



თქვენ ბრძანდებით საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების ერთ-ერთი ფუძემდებელი და მისი პრეზიდიუმის უცვლელი წევრი; დღეს რომ იკისე მრავალრიცხოვანი და აღმაჯალა ეს თქვენი უდიდესი წვლილიცაა; სწორედ თქვენი ინიციატივით წამოიწყო მან ქართული ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმის მშენებლობა, რომელიც ამჟამად საინტერესო სამეცნიერო კერას წარმოადგენს.

თქვენ ბრძანდებით საზოგადოების კრებულ „ძეგლის მეგობრის“ სარედაქციო კოლეგიის უცვლელი წევრი და მისი მკლავმოულელი მესვეური.

ღრმად პატივემულო ბატონო გიორგი, საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოება, მისი მრავალათასიანი კოლექტივი, მისი პრეზიდიუმი, კრებულ „ძეგლის მეგობრის“ რედაქოლეგია გისურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს და ახალ-ახალ შემოქმედებით სიხარულს სამეცნიერო და საზოგადოებრივ მოღვაწეობაში, — ესოდენ საქიროს და აუცილებელს თქვენი მშობელი ერისათვის.

მარცვლეულის სანჯაო ლიტრა

საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დამონმებულია მარცვლეული კულტურების ხის შემდეგი სანჯაო ჭურჭელი: ლიტრა, პინა, ჩანახი, ორიანი, სამიანი, ფოხალი, რუბი, ბათმანი, ქილა, კოდი და სხვ. თითქმის ყველა ზემოაღნიშნული სანჯაოს ძირითად სახომ ერთეულს ლიტრა წარმოადგენდა, მიუხედავად იმისა, რომ ეს სანჯაოები სხვადასხვა ადგილას განსხვავებული იყო სიდიდის მიხედვით. განსხვავებული იყო ოვით ლიტრის ოდენობაც სხვადასხვა კუთხეში. ასე, მაგალითად, თბილისისა და მცხეთის რაიონებში ლიტრა 10 გირვანქას, ხოლო კოდი — 10 ლიტრას შეადგენდა: თელავის რაიონში ლიტრა 12¹/₂ გირვანქას უფრიადა, კოდი — 10 ლიტრას, 50 — კგ-ს, ამასთანავე ამ რაიონებში საწყობად მკვებული ყოფილა აგრეთვე ფოხალი, რომელიც 5 ლიტრას იტევდა და ნახევარ კოდს უდრიდა.

საყურადღებოა, რომ ნილკანსა და მის მეზობელ სოფლებში სანჯაოდ დამონმებულია სამიანი, რომელშიც სამი ლიტრა ჩადის, აქაური კოდი სამ ფუტს უდრის. მასში ოთხი სამიანი იანგარიშება. გორის, კასპის, ცხინვალის რაიონებში სანჯაოდ იხმარება ჩანახი, რომელშიც ჩვეულებრივად ორი ლიტრა ჩადის. აქაური კოდი ოთხფუთიანია. კოდში ანგარიშობენ 8 ჩანახს ანუ 16 ლიტრას

დუშეთის რაიონში გავრცელებულია სანჯაო პინა ანუ ორიანი. პინაში ჩადის ორი ლიტრა. ექვსი პინა ერთი კოდაა.

ფშავეში დამონმებულია კოდი და ლიტრა. აქაური კოდი ათლიტრიანია, ხოლო ლიტრაში 12 გირვანქაა. თუშეთში მარცვლეულის სანჯაოდ იხმარება კოდი, რომელიც 10 ლიტრას უდრის. ამაზე მცირე სანჯაოა კაბინი ანუ ლიტრა. აქაური ლიტრა 12 გირვანქიანია. ასევე ხევსურეთში სანჯაოდ გავრცელებულია კოდი და ლიტრა. ხევსურული კოდი 12 ლიტრიანია. ერთი ლიტრა ანუ ნასამალი, როგორც მას არხოტში უწოდებენ, 10 გირვანქას უდრის. სამხრეთ საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში მარცვლეულის სანჯაოდ დადასტურებულია რუბი, კოდი და სომორი. კოდის მეოთხედს რუბი ეწოდება. რუბი 10 გირვანქა ჩადის და 4 კგ. იწონის აქაური კოდი ერთი ფუთია, სომორში 16 ფუთი, ამგვარად 16 კოდი ერთ სომორს უდრის. სომორი უფრო საანგარიშო ერთეული უნდა იყოს, ვიდრე დამოუკიდებელი სანჯაო.

შინამრეწველობის მასალებით ქართლის ლიტრა 10 გირვანქას, ხოლო კახეთის ლიტრა 13 გირვანქას შეადგენდა.

როგორც ვხედავთ, ყველა ამ სანჯაოს ძირითად საანგარიშო ერთეულად აღებულია ლიტრა, რომლის წონითი ოდენობა ადგილის მიხედვით სხვადასხვაა. საერთოდ ხმარებაში იყო უმთავრესად 10 გირვანქიანი ლიტრა, რომელშიც წონით 4 კგ. მარცვლეული ჩადიოდა. ამის მიხედვით იანგარიშებოდა სანჯაოები — ჩანახი, პინა, ფოხალი და კოდი; მაგრამ ლიტრო-


მ. შარაძის წახ. ნაპ.
სსიპ ახალქალაქის
რ. ა. ხაბაძის ქ. 40
თბილისი

364935329
2024017633

லித்ரா.
Литра.



லித்ரா.
Литра.





ლიტრა.
Литра.

ბით მარცვლეულის არწყვის დროს ანგარიში უნდა განეკუთვნოს თვით პურეულ კულტურებსაც. ვინაიდან ლიტრა მარცვლეულის საზომია, ამ შემთხვევაში განმსაზღვრელია ლიტრაში მოთავსებული მასის კუთრი წონა. ამდენად, სხვადასხვა წონა აქვს ერთ ლიტრა ხორბალს, ქერსა და სიმინდს. მაგ., თელავის რაიონში ლიტრა ქერი, მთხრობელთა ანგარიშით, 10 გირვანქას შეადგენდა, ხორბალი — $12\frac{1}{2}$ გირვანქას, ხოლო სიმინდი—13, $13\frac{1}{2}$ გირვანქას, ამავე დროს ყურადღება ექცეოდა იმასაც, თუ დარწყვის დროს ერთი და იმავე ლიტრა როგორ იყო გავსებული — „თავშებმული იყო ლიტრა, თუ პირგადასმული“ („სილაზე სავსე ლიტრა“). თავშებმული იმას ნიშნავს, რომ ლიტრაში იმდენი მარცვალი ყრია, რამდენსაც იგი დაიტევს, თავს შეიდგამს, ხოლო პირზე სავსე ლიტრა ნაპირზეა გადასწორებული. ამდენად, საწყაოს არწყვის ეს ორი სახეობა სხვადასხვა წონით ოდენობას შეესაბამება, პირველი მეტია წონით მეორეზე. ასეთი წესით არწყული გადასილავებული პინა ნახევარია თავშებმული პინასი.

ცნობილი და დადგენილია ისტორიულად ლიტრის სიდიდეც. ტერმინი ლიტრა ბერძნულია და იხმარებოდა ჭურჭლის აღსანიშნავად როგორც საწონი ერთეული პირველად გვხვდება რომაულ მეტროლოგიაში. შემკვიდრებობით მიიღო ეს ბიზანტიურმა მეტროლოგიამაც, ლიტრა შევიდა მახლობელი და შუა აღმოსავლეთის შრავალ ხალხთა მეტროლოგიაში. ფართო გავრცელება ჰპოვა მან საქართველოშიც.

ქართულ წყაროებში ტერმინი „ლიტრა“ საზომად პირველად IX ს. ადიშის ოთხთავში (იოანე 1938, 123) ჩანს. საქართველოში ხმარდებულ თავდაპირველი ბიზანტიური ლიტრა 327, 45 გ. შეადგენდა.

XI ს. საქართველოში ორი სახის ლიტრა იხმარებოდა — 350 და 406 25 გრამიანები. აქედან ეკონომიკის სფეროში მეორე — ე. წ. ბაღდადური უნდა ყოფილიყო გამოყენებული, პირველი კი — მედიცინაში. ორივე ამ ლიტრას შესატყვისი მოუპოვება არაბულ წონით სისტემაში. ბაღდადური ლიტრის საქართველოში დამკვიდრების თარიღად მიღებულია IX-X ს, როდესაც არაბებმა მტკიცე პოლიტიკური და ეკონომიური დასაყრდენი გაიჩინეს ქართლში თბილისის საამიროს სახით. ეს ლიტრა კი უფრო დიდი წონისა იყო, ვიდრე რომაულ-ბიზანტიური, ის 78,8 გ-ით მეტი იყო. ამდენად, ლიტრის ზრდის პროცესის საწყისად უფრო ადრეული ხანაა — XI ს. მიჩნეული (გ. ჯაფარიძე), ვიდრე XIII ს. (ს. კაკაბაძე) და XIII ს. შემდგომი ხანა (ივ. ჯავახიშვილი).

XIII ს. არაბულიდან ნათარგმნი „ნიგნი სააქიმოს“ მიხედვით ჩანს, რომ XIII ს. ქართული ლიტრა 950 გ. იწონიდა. მაშასადამე, XIII ს. ლიტრა XI ს-თან შედარებით ორჯერ იყო გაზრდილი.

ლიტრის კიდევ ერთხელ გადიდება მომხდარა 1524 წ., რადგანაც ამ დროს მოხსენებული ე. წ. „გორული ლიტრა“ უკვე 400 მისხლით, ე. ი. 1,780 კგ-ით არის განსაზღვრული. ამის შემდეგ ეს საწყაო სულ უფრო და უფრო გადიდების მიდრეკილებას ამჟღავნებს. ასე, მაგ., ვახტანგ მეფის ჩვენებით ქართული ლიტრა 550 მისხალს შეიცავდა, საბას დროინდელი კი — 570 მისხალს. ორივე თანამედროვის ცნობათა სხვადასხვაობა გამოიწვია ვახტანგ VI გაანგარიშების მცდარობამ. მის მიერ მოცემული მეტროლოგიური სისტემა სპარსულის ანალოგიაა, მან კი გაანგარიშება ძველ ბერძნულ-რომაული კერატის ბაზაზე უმართებულოდ მოახდინა. ამიტომ საბას ცნობა სარწმუნოა, რის მიხედვით ლიტრის წონითი ღირებულება 3 კგ-ით ისაზღვრება³.

მაშასადამე, გამოდის, რომ პურისა და ღვინის ძირითადი საწყაო — ლიტრა XI ს-დან XV ს-მდე 6 ჯერ იყო გადიდებული, ხოლო XV ს-დან ლიტრა კვლავ შეუჩერებლივ იზრდებოდა და XVIII ს. ლიტრა XI ს-ის ლიტრასთან შედარებით 10-12-ჯერ მეტი ყოფილა.

XIX-XX ს ს. მანძილზე ლიტრა მეტ-ნაკლებად იზრდება, მაგრამ მისი წონითი ოდენობის ზედა საზღვარი მაინც იშვიათად აღემატება 4-5 კგ-ს. ასე მაგ., კავკასიის კალენდრის 1845, 1847, 1852 წლების ცნობებით ლიტრა თბილისის, გორის, თელავის, სიღნაღის და ბორჩალოს მაზრებში შეადგენდა 9 რუსულ გირვანქას, ე. ი. (409,5×9) — დამრგვალებულად 3,7 კგ.

XX ს. I ნახევრისათვის (კავკასიის კალენდარი 1904, 1905, 1913-14 წ. წ.) ლიტრა თბილისის მაზრაში შეადგენდა 9 გირვანქას, თელავისა და თიანეთის მაზრებში — 12 გირვანქას, დუშეთის მაზრაში — 8 გირვანქას, სიღნაღის მაზრაში — 13 გირვანქას.

ზემოაღნიშნული ცნობების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ აღმოსავლეთ საქართველოში ლიტრა საშუალოდ 10 გირვანქას შეიცავდა



მთხრობელთა ცნობით უმთავრესად ხმარებაში იყო 20 სტილის შემცველი ლიტრა. სტილში 4 კვერცხის წონას ანგარიშობდნენ. 20 სტილის შემცველი ლიტრა კი დაახლოებით 80 კვერცხის წონას შეესაბამებოდა, იუ კი კვერცხი საშუალოდ 50 გ. აიწონიდა. მაშასადამე, 20 სტილის შემცველი ლიტრის წონითი ოდენობა მარცვლეულისათვის 4 კგ-ით განისაზღვრებოდა.

ლიტრის წონითი ოდენობის დადგენის შედეგად კოდისა და ფოხალის (ლიტრაზე უფრო მოზრდილი სანყაოების) ტევადობის განსაზღვრაც ადვილდება, ვინაიდან ლიტრა ქართულ წონით სისტემაში ძირითად ერთეულს შეადგენდა.

¹ ვ. სონულაშვილი, მემინდერეობასთან დაკავშირებული ხის საწყაოები აღმოსავლეთ საქართველოში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის შიამბე, ტ. XV—, იბ., 1959, გვ. 498.

² გ. ჩიტაია, ეთნოგრაფიული პარალელები, მასალები, საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, ტ. XV, 1970, გვ. 70.

³ გ. ჯაფარიძე, ნარკვევა ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან 1973, ვე. 49-56.

ანზორ გომიზაშვილი

მარანი ოკრიბიდას

ოკრიბა მდ. წყალწითულას (იმერეთი) ხეობაში მდებარეობს. „არს ამაი შინა ქვეყანა (ოკრიბა, ა. გ.) თჳნიერ ბრინჯ-ბამბისა, ყოვლითა მარკელითა ნაყოფიერი ფრიად, სილითა, ვენახითა. არამედ ვენახი მალღარი, ღვინო მსუბუქი, მხე-გემოიანი“¹.

ხელსაყრელმა ბუნებრივ-სამეურნეო პირობებმა იმთავითვე განსაზღვრა მეურნეობის სხვადასხვა დარგის დანიშნულება. აქ წამყვანი მნიშვნელობა მემინდვრეობას ენიჭებოდა, თუმცა საკმაოდ დიდი იყო მევენახეობა-მელვინეობის როლიც, რომელიც სოფლის მეურნეობის საერთო შემოსავლის 60—70% შეადგენდა.

ოკრიბა ერთ-ერთი იმ მიკრორაიონთაგანია, სადაც უზგადაა წარმოდგენილი მეურნეობის ფორმებთან კარგად შეხამებული ხალხური ყოფის თვალვები.

1976 წლის გაზაფხულზე ქართული ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის ღია ცის ქვეშ მუზეუმში გადმოტანილ იქნა მარანი ოკრიბიდან (ტყიბულის რ-ნი, სოფ. სოჩხეთი), მისი მრავალფეროვანი ტურჭელ-იარაღითურთ: საწნახელი, ქვის ისარნაქთაღარი და წბერი ანუ საქაზავი².

კოლექცია შექმნილ იქნა ალექსი ცნობილაძისაგან. აღნიშნული მარანი და ინვენტარი ეკუთვნოდა მის მამობილს ნაომი ცნობილაძეს, რომელიც საკმაოდ ხანდაზმული (92 წლის) გარდაცვლილა 1975 წელს.

მარანი ფიცრულ ნაგებობას წარმოადგენს, მასალად გამოყენებულია ნაბლი (ძირითადად) და მუხა (საძირკვლებად და სარტყელებად). მარანი ადგილზე კარმიდამოს კომპლექსში, სამხრეთიდან ჩრდილო-დასავლეთისაკენ შესამჩნევად დაქანებულ რელიეფზე იყო მონყობილი, ფასადით ოდასახლისაკენ მიმართული.

როგორც ითქვა, მარანი ფიცრულ ნაგებობას წარმოადგენს (ზომით 5×7) და ქვის საყრდენებზე მონყობილი ოთხსვეტიანი აივანი აქვს. 20...30 სმ-ის სიმაღლის ქვითკირის საფუძველზე დაშენებულია ნაბლის ხის კედლები, რომლებიც მუხის საძირკვლებს ეყრდნობა, კედლები ჩადგმულია ნაბლისავე ბოყნებში და გამაგრებულია კოტეებით, კუთხეებში კი ფიცრები ერთურთზე გადაჭდობილ საყელურებშია ამოყვანილი. კედლები მთავრდება მუხის მტკიცე სარტყელით. ამ უკანასკნელზე კედლების შემკვრელი დირეგბია გადებული, რომელზედაც დგას სახურავის თავხის დასაყრდენი გოგები. გადახურულია ოთხღერდად ქართული ღარიანი კრამიტით. მარანი უფანჯროა, აქვს ორი კარი — ერთი აივანზე გადის, სოლო მეორე მარჯვენა მხარეს (აქედან შეპქონდათ მარანში ვენახიდან მოტანილი ყურძენი).




მარნის შესასვლელთან, მარჯვენა კუთხეში, „ჭურის თავზე“ საინჟინერო იარაღები იყო მიწყობილი: თოხი, ძელბარი და ჭურის სარქველები აყალიბებდა მინის დასაკვერი კვეთო ანუ კვედო. შესასვლელიდან მარჯვენა მხარეს კედლის გასწვრივ დგას ხის დიდი საწნახელი, ხოლო მის თავთან მინაში დაფლულია ასევე დიდი ზომის, საწნახელში დაწურული ტკბილის მოსაკავებელი ქვის ისარნა (სიმაღლე 80 სმ, დიამეტრი 1,25 მ). ისარნა საწნახელს ასე აქვს მიდგმული, რომ ინდურიდან გამოსული ტკბილი პირდაპირ გადადის მასში. საწნახლის ქვეშ შეწყობილი იყო პატარა სუფრა და სამფეხა ჯორკო სკამები. აივნის კარის მოპირდაპირე კედლის გასწვრივ ჭაჭის დასაწნეხი ხელსაწყო-საქაჩველია განწყობილი. ამას მოსდევს ე. წ. „საკოკა“ — ჩაფების დასადგმელი ხის გრძელი ფიცარი, რომელსაც მხოლოდ ორი ფეხი აქვს და კედელზეა მიყრდნობილი, მასზე ეწყობა სხვადასხვა ზომისა და ფორმის საღვინე ჭურჭელი და ერთი საწყლე კოკა; ამით მორისაა ორი სპილენძის თუნგი; კედლებზე და დირებზე განწყობილია სხვადასხვა ხელსაწყო-იარაღი: ქვევრიდან ღვინის ამოსაღები ორხელი, ორშიმო (ყელიანი გოგრის, გრსელტარიანი). აქვეა ხის ტარიანი სპილენძის ორშიმო, თხლეს ამოსაღები ხის კოჭი სათხლევე||სამყავე, ინდურის ღარში გასაყარი სწორი ფოხი, ჯგირი, ქვევრის გასარეცხი იარაღები: ბლის ქერქის გრძელტარიანი სარცხელი||სარცხი, ჩასავალი სარცხი (ოფიჭოს კონა), იგივე ბლის ქერქის, ორმხრივ მოკლე სახელურებით (დიდი ჭურის შიგნიდან გასარეცხი) ჭაჭის მისაწვე-მოსაწვეი ხის თითებიანი მელული, აგრეთვე მთლიანი ხის ნიჩაბი. ერთ კუთხეში დგას ე. წ. „ხალმები“ წნილისა და სხვა მისთანათა შესანახად. ერთ-ერთ კედელზე მიდგმულია პატარა ტახტი, რომელზეც ვაზის შესანამლი მანქანა და შაბიამნის ჩასასხმელი სპილენძის თუნგი დგას. გარდა ამისა, დირებზე და კედლებზე ეკიდა რამდენიმე დაფნისა და ერთიც, ღომის თაველის კონა. მრავლად ეკიდა აგრეთვე წითელი წიწკის, ხახვის, ნივრის გალები.

ასეთი იყო მარნის ინტერიერი ადგილზე. მარნის სრული ინვენტარის მუზეუმში გადმოტანის შემდეგ ეს სურათი აღდგენილი და დაცულია.

მარნის ინვენტარს შორის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტს საწნახელი წარმოადგენს. საწნახელი დამზადებულია მთლიანი თხილის ხის მორისაგან, როგორც მფლობელი გადმოგვცემს, საწნახელი შიგნიდანაც და გარედანაც გათლილია სწორად, ნავისებურად. თავბოლო ანუ შუბლები მთლიანი—მასიური აქვს. საწნახლის თავი და ბოლო შეკრულია მუხისაგან დამზადებული ჩარჩოებით, რომელთა ბოლოები საწნახლის ფეხებს წარმოადგენს. საწნახლის ზომებია: სიგრძე 4,35 მ, სიმაღლე 1,30 მ, სიგანე 1,35 მ. მისი ტევადობა 40 კოკას აღემატება. იგი საყურადღებო დამუშავების მაღალი ტექნიკით და უნიკალურ ნიმუშს წარმოადგენს მასალის მხრივ.


აღნიშნული საწნახელი განეკუთვნება მთლიან ხეში ამოთლილ გაკუთხული საწნახლის ტიპს.

სოფ. სოჩხეთის მკვიდრთა გადმოცემით, ეს საწნახელი ყოფილა დამზადებული ხის ზედა ნაწილიდან, ე. წ. „ბის კუდიდან“. ხოლო ამავე ხის ქვე-



პაპის წებო (წებრი).

Пресс для винограда («дзери»).





და ნაწილიდან „ძირის“ საწინახელი (რომელიც ცხადია, უფრო დიდი ზომისაა და მოცულობის იქნებოდა) უკანასკნელ დრომდე ყოფილა შემონახულნი.

მთხრობელთა გადმოცემით, ამ საწინახელში ხდებოდა, როგორც ყურძნის დაწურვა, ასევე ტკბილის დადუღება. დადუღებული ღვინო კი შესაწინახად საწინახლიდან გადაჰქონდათ ქვევრებში.

იმერეთში, როგორც წესი, საწინახელს მიდგმული უნდა ექონდეს თიხის პირგანიერი ისარნა მთლარი, მაგრამ აღნიშნულ საწინახელს მთლიან ქვაში გათლილი თლარი აქვს მიდგმული, რომელიც ადრე ღომის საცეხვი ჩამური ყოფილა (როგორც ჩანს, ღომის კულტურის გადავარდნის შემდეგ ფუნქციონირებული ჩამური საწინახელში დაწურული ტკბილის მოსაკავებელ ჭურჭლად უქცევიათ).

გვაგონდება არც თუ დიდი ხნის წინ პრესაში გამოთქმული გულისტკივილი, რომელიც სწორედ ოკრიბის ძველებური ყოფის ამსახველი ძეგლების (მათ შორის თხილის დიდი საწინახელის) მიმართ უწყურადღებობის გამო იყო გამოთქმული¹.

ბედნიერ შემთხვევად მიგვაჩნია, რომ ასეთი უნიკალური ძეგლი, თხილის დიდი საწინახელი და ქვის თლარი ისარნა მუზეუმის საკურთხევედ იქცა.

ნ ბ ე რ ი ანუ საქაჩავი — წარმოადგენს ცალმხრივი ბერკეტის პრინციპზე მოქმედ დანადგარს, რომელიც სპეციალურ ლიტერატურაში ხრახნიან-ტვირთიანი საქაჩავის საქაჯავის სახელით ცნობილ ტიპს მიეკუთვნება. მუზეუმში გადმოტანილი მარნის კუთვნილი ნბერი შედგება შემდეგი ნაწილებისაგან: ბერა-ორბოძალა მსხვილი ხე, რომელიც მკვიდრადაა დასმული მიწაში, მასში გაყრილია ე. წ. დანღლები, მათზე მოთავსებული მერტაფა-ფაშბერტაფა—ქვის დიდი ოთხკუთხა ფორმის ჭურჭელი, რომელიც გაყოფილია ორ-ღრმა (მერე) და ბრტყელ (ტაფა) ნაწილად, ტაფაზე იდგმება ხის კოდი, რომელშიც იყრება დასანბერი ჭაჭა. კოდზე მოკლე ფიცარს (კაკალა) ადებენ, რომელსაც დირე აწვება. დირე ერთი ბოლოთი გაყრილია ბერაში, მეორე ორკაპა ბოლოზე კი დამაგრებულია ხის მსხვილი ქანჩით (ქუდი ანუ დათვას თავი). ამ უკანასკნელში ისარი ანუ ჭახრაკი არის ჩახრახნილი ძირისაკენ. ისარზე შეკიდულია წისქვილის დოლაბის მსგავსი ქვის კვირისტავი, რომელიც წამოცმულია ისარზე, ქვევიდან გამაგრებულია ე. წ. ხმალათი. კვირისტავის ზემოთ გაყრილია ჭახრაკის სამართი ხელკეტი, კვირისტავით დამძიმებული ისარი დაბჯენილია ხის ქალაბანზე (მიწაში ჩადგმული საყრდენ-საბრუნე). დანწევის დროს კოდში მდებარე კაკალას და დირეს შუა თავსდება ე. წ. კონტალა-მორისებური მოკლე ვირკი.

აღწერილი მარანი განხილულ უნდა იქნეს იმერული მარნების ტიპების ფონზე.

იმერეთში მარანი ეწოდება ნაგებობას, სადაც ინახება მევენახეობამდევინეობასთან დაკავშირებული ინვენტარი. ღვინის დაყენება და შენახვა მარნის წინ ღია ცის ქვეშ მიწაში ჩადგმულ ჭურვებში ხდება, რასაც „ჭურისთავი“ ეწოდება. აღსანიშნავია ისიც, რომ იმერეთში მარანი ძირითადად



საკარმიდამო კომპლექსშია, თუმცა გეხედება საცხოვრებლიდან საქმეში მან
 ძილზე მდებარე ვენახებშიც (სოფ. ქორეთი, საჩხერის რ-ნ-ს მუნიციპალიტეტის
 საგვარეულო მარნები).

ოკრიბიდან გადმოტანილი მარანი ფიცრული მარნის საკმაოდ დანიშა-
 ურებულ ტიპს განეკუთვნება, ხოლო ფიცრული მარანი თავის მხრივ გან-
 ვითარების ვაცოლებით გვიანდელ საფეხურს შეესაბამება.

მარნის დამუშავების ტექნიკა, შენახულობა, მასალა, მასში მოთავსე-
 ბული ინვენტარის სიმდიდრე საინტერესოს ხდის მას, რამაც განაპირობა
 ის ფაქტი, რომ იგი დღეს მუზეუმის ტერიტორიაზე იმყოფება.

აღნიშნული მარნის ზემოჩამოთვლილი თვისებები უფრო მკაფიოდ გა-
 მოჩნდება, როდესაც მუზეუმში ვიხილავთ მარნის სხვა ტიპებსაც, რომლს-
 ბიც განვითარების სხვადასხვა სტადიებს შეესაბამება.

¹ ვახუშტი ბატონიშვილი, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით
 ს. ვახუშტიშვილის მკერ, ბბ., 1973, გვ. 775.

² ამ საინტერესო სამუზეუმო მასალის არსებობის შესახებ ცნობა მოგვცოდა თბილისელ-
 ნა მამია ცნობილანემ, ჩისტვისაც მადლობას მოვასხენებთ.

³ იმერეთში ჩვენს მკერ ფიქსირებულა საწინახლებს ტევალობა 5-50 კოკა, (კოკა უღრას
 40 ლიტრს).

⁴ რ. ჭეიშვილი, იკრის, ტყიბულა. „ლიტერატურული საქართველო“, № 20 (2319),
 14 V. 1976.

ზურაბ კუტალიაშვილი


ნაოსნოვის საშუალებანი საქართველოში (ცალფა ნავი)

ჩვენში ნავს ძველთაგანვე სათევზაოდ იყენებდნენ და საეარაუდოა, რომ პირველი ზღვაოსნებიც მეთევზეები იყვნენ. ამ მხარეში ისტორიული და ეთნოგრაფიული მონაცემებით დადასტურებულია კონსტრუქციისა და ფუნქციის მხრივ განსხვავებული ნავეები. მაგ. მდინარე რიონის აუზში გავრცელებული ბრტყელძირა და გვერდებგაშლილი ნავეები დიდად ვან-სხვადებთან არა მარტო საზღვაო, მრგვალძირა ე. წ. „ლაზური“ ნავეები-საგან, არამედ ქოროხზე, ხობზე, პალიასტომზე ხმარებული ნავეებისაგანაც; ამასთან, სათევზაოდ, ზღვის ცხოველებზე სანადიროდ, მგზავრების გადასაყვანად ჩვენში უკანასკნელ დრომდე ხმარებაში იყო შესაბამისი ტიპის ნავეები. ამიტომაც, რომ დასავლეთ საქართველოში საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბდა ხის მუშაკობის საგანგებო დარგი — ნავმშენებლობა, რაშიც განსაკუთრებით დაწინაურებულან ლაზ-მეგრელები. ამ მხარეში კონსტრუქციისა და მიხედვით ნავის ორ ძირითად სახეს არჩევენ: დაჭედის, ფიცრებით შეკრულს და დაუჭედავს. ერთ ხეში გამოყვანილ ნავს.

წყლის ტრანსპორტის ერთ-ერთ უძველეს სახეობად მსოფლიოს მრავალ ადგილას ხის მორი და ტივი ითვლება, რომელსაც მდინარეზე აცურებდნენ ან ჭოკით აძლევდნენ მიმართულებას. მაგრამ მორიცა და ტივიც ჩვენი ქვეყნის ბუნებრივ-გეოგრაფიული სპეციფიკის გამო თევზაობისათვის, მგზავრების გადასაყვანად თუ ტვირთის გადასატანად მოუხერხებელია და ამიტომ უფრო სავარაუდოა, რომ ნეოლით-ენეოლითის ხანაში აქ დაუჭედავ, ერთ მთლიან ხისგან გამოთლილ ე. წ. „ნიშას“, „ცალფას“ ან „ვარცხლს“ იყენებდნენ. ამ ტიპის ნავს ტიპოლოგიურად უახლოვდება დასავლეთ საქართველოში (გურია, სამეგრელო, იმერეთი) დამონებული „მორა ნავი“, რომელიც ამ ბოლო დრომდე გამოიყენებოდა შიდა მეურნეობრივი საქმიანობისათვის.

ერთ ხეში ამოჭრილი ნავის ჩვენში ფართოდ გამოყენებას ხელს უწყობდა როგორც შავი ზღვის სანაპირო, ისე სანაოსნოდ გამოსადეგი მდინარეების, ტბების, ბუნებრივი თუ ხელოვნური არხების ხშირი ქსელი და ნავმშენებლობისათვის საჭირო მასალის არსებობა, რითაც კოლხეთი ძველთაგანვე განთქმული იყო.

დასავლეთ საქართველოში გავრცელებული ცალფა ნავეები ფორმითა და ფუნქციით არ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. ასეთი ნავის სიგრძე 3—7 მ-მდე, ხოლო სიფართო 0,5-1,5-მდე მერყეობდა და დამოკიდებული იყო სანავე ხის ზომაზე. ნავის წინა ნაწილი 8—10 სმ-ით ფართო იყო უკანა ნაწილთან შედარებით, რაც უზრუნველყოფდა წყლის გაჭრას და ბოლო ნაწილისათვის წინააღმდეგობის შემცირებას, რადგან ხალხის დაკვირვებით




დაქუდილი „ნიში“ ფოთიდან.

Сколоченная «ниши» из Поти.

ცალფა ნავი პალაესტომიდან.

Однодревка из Палиастоми.



„თავით რომ მიდის ნავი, წყალს ფართედ ჭრის და ნავის ბოლოს წყალი ველარ იჭერს, ბოლო ასწრებს გაჭრილ წყალში გავლას-ო!.“ ამასთან, ნიშან წინა („დუდი“) და უკანა („კირჭი“) ნაწილი თითქმის ერთნაირია — „წულე-ბივით დაკეთებდით, რომ ნავს წყალი კარვად გაეჭრა, ნავის თავი და ბოლო წყლიდან ამოზიდულია 0,5—1 მეტრამდე და შორიდან ქართულ ქალამანს მოგავედა“ (სოფ. ლესა, ვასო გოგიჩაიშვილი). ამის გამოა, რომ ამგვარი ნავით, კარგი ამინდის პირობებში საათში 10—15 კმ-ის სიჩქარეს ავითარებდნენ.




სათევზაო ნავი მდ. ხობიდან.

Рыболовная лодка из р. Хоби.

გადაბმული სატვირთო ნავი პალისტო-მიდან.

Две связанные лодки из Палистоми.



როგორც აღვნიშნეთ, ჩვენში ცალფა (მორა) ნავი სხვადასხვა ზომისა მზადდებოდა, რისთვისაც წინასწარ ხდებოდა საჭირო სიდიდის ხის შერჩევა, დანიშვნა — ტყეში შეგულება და მოჭრა, რაშიც ქართველი ნავის ოსტატები საკმაოდ კარგ ცოდნას ამჟღავნებენ.

ცალფა ნავი აღჭურვილია ნიჩბებით (ხოფი, ხოპი, ხოპე) და ჭოკით (ჭოლოკი, ხალი), რომელთა ზომა და რაოდენობა ნავის სიდიდეზე იყო დამოკიდებული. ფოთსა და გურიის მიდამოებში უფრო გავრცელებულია ორნიჩბიანი ნავი, მაგრამ ფლატე (ნოყო, დაბალ) ადგილებში ნიჩბებს ჭოკი ცვლიდა, რომლის სიგრძე 3—5 მეტრს აღწევდა. ზოგჯერ მძიმე ტვირთის გადატანისას ერთ ნავს გვერდიდან მიადგამდნენ (ძიაბამდნენ) მეორე ნავს

ქ. აბრამის სახ. სამ
სსრ. სახალხოწიფო
ბნა: ვგლ. ყუბი
ბიბლიოთეკა



და თოკით (პაროხი, პარუხი) მიათრევდნენ, ხოლო ორი კაცი, ერთი ნავის წინ რომ იდგა და ერთიც ბოლოში, ჭოკებით ეხმარებოდნენ. შტაპარუხებს, რომ ნავი ნაპირს არ მიხეთქებოდა. ამ დროს ნავის ფორმა იცვლებოდა -- ფართოვდებოდა (პალიასტომის მიდამოები). ნიშას ჰქონდა მცირე ზომის ლუზა. მთხრობელთა გადმოცემით, ადრე ქვის ლუზას ხმარობდნენ². ჩვენს მიერ მოზრდილი (დაახლ. 3,5 ფუთი) ძველი ქვის ლუზა დადასტურებულია სოფ. ანაკლიაში, რომელიც თითქმის ანალოგიურია ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმში დაცული მსხლის ფორმის საკმაოდ კარგად გამოყვანილი ლუზისა, რომლის წონა 10 ფუთამდე აღწევს. ამ ლუზის ზემო ნაწილის გახვრეტილი: ყური თოკის მისაბმელადაა გაკეთებული. იგი ნაპოვნია მდ. რიონზე ქუთაისის მახლობლად. ამგვარი ლუზები იხმარებოდა სანიჩბო ხომალდებზე ძვ. წ. VII—V სს-ში. ამასთან, ხალხის განმარტებით, ადრე ქვის ან რკინის (ბრინჯაოს) ლუზას უკეთებდნენ ხის ჩარჩოს, რომ ლუზა, როცა ეს არ იყო საჭირო, ძალიან ღრმად არ ჩასულიყო წყალში, მაგალითად, შლამიან ან მეტად ღრმა ადგილებში (სოფ. ანაკლია, ავთანდილ ბიგვაეა).

იმისდა მიხედვით თუ როგორ წყლებში უხდებოდა ცურაობა, ცალფა ნავის ზომებიც და ზოგჯერ ფორმაც სხვადასხვაა. გურიაში, სადაც ნიშნებით მხოლოდ პატარა მდინარეებსა და არხებში დაცურავენ ნავეები შედარებით მომცროა, გვერდები კი გაშლილი აქვს. ფოთი — პალიასტომის მიდამოებში კი, სადაც სანაგო ადგილები უფრო ფართოა ნიშნებით ტბასა და ზღვაშიც კი უხდებოდათ ცურვა. იგი ზომითაც დიდია და შედარებით შეკრულიც, რათა ღელვას გაუძლოს, წყლით არ გაივსოს და არ გადაბრუნდეს.

ცალფა ნავი შიდაწყლებში (ტბა, ქაობი, არხი, მდინარე) იაფი და მოხერხებული, თითქმის შეუცვლელი ტრანსპორტი იყო³. მას იყენებდნენ სათევზაოდ და სანადიროდ, სხვადასხვა ტვირთის გადასაზიდად, მგზავრების გადასაყვანად, ტივების საბუქსიროდ და სხვა. მოსავლის აღების შემდეგ ნიშნებით ეწყობოდა სპორტული შეჯიბრებები თითქოსდა წყალში დამხრჩვალთა საპატივცემულოდ — გვამის მოძებნის მიზნით (სოფ. ყულევი), რაც შეიძლება უფრო ძველი მოვლენის ანარეკლიც იყოს და გამომდინარეობდეს აგრარული წარმოდგენებიდან, კერძოდ, უკვე მოშკილი (მკვდარი) და მოსამკელი (მომავალში აღმოსაცენები) მოსავლის აღებასთან.

ასეთი ტიპის ნავი დიდი გამძლეობით არ გამოირჩეოდა და საშუალოდ 3 წლამდე ძლებდა. პალიასტომსა და მის მიმდებარე ადგილებში ცალფა ნავი ნედლი ხისაგან კეთდებოდა, ისინი გაცილებით მცირე მოცულობისაა, ვიდრე „ჭალადიდური ნიში“ (დაჭედილი ნიში, რომელსაც 100 ფუთზე მეტი ტვირთის გადატანა შეეძლო) ან ჭოროხული ნავეები და აქაურ ბუნებრივ-გეოგრაფიულ პირობებში უფრო მოსახერხებელიც იყო. ხშირად ნავს, თუ კარგად ჰქონდათ დაცდილი, სავანგებოდ შეაკეთებდნენ და ახალსაც კი ამჯობინებდნენ, რადგან იგი რიონისა და ჭოროხის მენავებს „ბედნიერ ნავად“ ჰქონდათ წარმოდგენილი (ფოთი, მარადიდი), რასაც XVII საუკუნეში ლამბერტიც ადასტურებს⁴.

დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა ასეთ ნავეებს რომ უკანასკნელ დრომდე იყენებდა სოფ. ყულევის მცხოვრებთა მაგალითზე ფიქსირებულია



ნ. ხოშტარიას მიერ, რომლის თანახმად, აქაურთა საქმიანობა (ყანებშეკრები მიმოსვლა, შეშის, ხე-ტყის დამზადება, ყველა მძიმე ტვირთის გადატანა და სხვა) მდ. ხობისა და მდ. ცივას საშუალებით, ძირბრტყელი პატარა ნა-
ვეების („ნიშა“) საშუალებით ხდებოდა, რომელიც, როგორც წესი, ყველა მოსახლეს ვააჩნდა და ხშირად ქალებსაც კი დაჰყავდათ, ხოლო მდ. რიო-
ნის აუზში ცალფა ნავეების გამოყენებას სპეციალური გამოკვლევა მიუძ-
ღენდა მ. გვგეშიძემ, რაც ჩვენს მიერ ფოთი-პალიასტომის მიდამოებში მო-
პოვებული ეთნოგრაფიული მონაცემებითაც დასტურდება.

ქალების მიერ ნავის მართვას სამეგრელოში ლამბერტიც აღნიშნავს, რაც ეთნოგრაფიული მონაცემებით სრულ გამართლებას პოულობს. მაგ. მთელს ლაზეთში იყო ცნობილი ნაოსანი და მეთევზე ქალი — ზახიე მოლა-
ილო, რომელიც დიდ ხომალდს (სანდალს) მართავდა 1914—1918 წლებში. ამარაგებდა რა პროდუქტებით სამხედრო გემებს (სოფ. ანაკლია, ალი რეიზ-
ოღლი). ყულაიში „ჭალადიღურ ნიშებს“ რომლებშიც იტვირთებოდა აქ შემოსული სანდლებიდან სხვადასხვა საქონელი, უმეტესად ქალები მარ-
თავდნენ (სოფ. ყულაივი, ოსმან ოდაბაშ-ოღლი), ხოლო ფოთისა და პალიას-
ტომის მიდამოებში ქალებს ამჟამადაც დაჰყავთ მცირე ზომის ნავეები, რომ-
ლებითაც გადააქვთ შეშა, თივა და ხშირად თევზაობენ კიდეც, თუმცა ნა-
ვეების ფორმა და ტექნიკა აბსოლუტურად შეიცვალა, მაგრამ ზოგჯერ მო-
სკორიან, თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილ ნავეებს, ადგილობრივი მო-
სახლეობა ძველებურს ამჯობინებს, რადგან დაბალ, ფლაჯი ადგილებში ეს უკანასკნელი უფრო მოსახერხებელია, კარგი მანიერირების გამო.

მოუხედავად იმისა, რომ ასეთი ნავეები კონსტრუქციულად მარტივი აგებულებისანი არიან, მათი მართვა მაინც საკმაოდ რთულია და უსაფრ-
თხოვრად ძვირად მესაჭის („მხერვალის“, ნიჩბის მცემელის) ყოდნა-გამოც-
დილებაზეა დამოკიდებული.

დიდი ხელოვნება იყო საჭირო, რომ ნიშა მეჩერზე (იხისზე) ანუ ხერთვის-
ზე, როგორც მას ძველ ქართულში უწოდებდნენ, არ შიშვდარიყო ან წყლის ქვეშ
ლოდებს არ დაჯახებოდა. წყლის სიღრმეს ან წყლის ქვეშა ლოდება
ტალღების ზომით და წყლის ქაფიანობით იგებდნენ...

მორა ნავის გამოყენება ქართველი ტომების მიერ ძვ. წ. I ათასწლეუ-
ლის შუა ბანებიდან დოკუმენტურად დასტურდება. შიპოკრატეს ცნო-
ბით, კოლხეთში, სადაც მრავალი მდინარე და ხელოინური არხია, ადგილობ-
რივი მოსახლეობა მიმოსვლისათვის ფართოდ იყენებს ერთ ბეში გამოჭრილ
ცალფა ნავეებს, რომელიც აქ ტრანსპორტის ძირითადი საშუალებაა. ცალ-
ფა ნავეების კოლხეთში ფართოდ გამოყენებაზე ცნობები დაცულია აგრეთ-
ვე ქსენოფონტესთან, სტრაბონთან, ტაციტთან და სხვ.

მორასთან ერთად ნავის უძველეს სახეობად ხის ქერქისაგან და ტყა-
იგნისაგან შეკრული ნაგი მიაჩნიათ, მაგრამ ვფიქრობთ, ის მაინც რამდენ-
ნადმე უფრო განვითარებული სახეობაა და შედარებით გვიან არის შექ-
მნილი. ტყავისაგან ან პაპირუსისაგან ნავის შეკერა ამა თუ იმ ხალხისათ-
ვისაა დამაზასიათებელი და გვხვდება იმ რაიონებში, სადაც ნავმშენე-
ლობისათვის საჭირო ხე-ტყის ნაკლებობაა. ჩვენში ამგვარი ნავეები არ მონ-
მდება არც ისტორიული წყაროებით და არც ეთნოგრაფიული მასალით,



თუმცა ნაფ-ტიკი საქართველოში ცნობილია, მაგრამ იგი ქართველეთ-
მების ყოფაში არ გავრცელებულა და მხოლოდ მდინარის ~~გადსაღვრად~~
გამოიყენებოდა ისე, როგორც გვიან ხანაში ბორანი.

ამგვარად, წერილობითი წყაროებით, რომლებსაც ეთნოგრაფიული მო-
ნაცემები ავსებენ და ადასტურებენ, ირკვევა, რომ საქართველოში ისე,
როგორც მსოფლიოს ყველა მეტ-ნაკლებად საზღვაო ქვეყანაში, ცალფა მო-
რა ნავს უნდა დაედო საფუძველი ნაოსნობისათვის.

¹ მ. გვეშიძე, წყლის ტრანსპორტი დასავლეთ საქართველოში (რიონის აუზი), იხ. „მიმო-
ხილველი“, III, თბ., 1953.

² ქვის ღუზა რომ არქაულია ამას არიანეც შენიშნავს ფაზისის აღწერილობის დროს... აქ
უჩვენებენ არგოს რკინის ღუზას. არა მგონია, რომ იგი ძველი იყოს“. თუმცა სიდიდით არ
პყავს ახლანდელ ღუზებს და მოყვანილობითაც განსხვავდება, მაგრამ მაინც, ვფიქრობ, რომ
გვიანდელ ხანს უნდა ეკუთვნოდეს. აქვე მარჯვენს ქვის ძველი ღუზის ნაჭრები, რომლებიც
უფრო მეტად შეიძლება მივიჩნიოთ არგოს ღუზის ნაშთად“.

³ სულ ახლახან, პალიასტომის ჭაობიანი ტერიტორიების დაშრობასთან დაკავშირებით,
რომელიც პარტიის მხარაძის რაიონული კომიტეტის თაოსნობით ხდება, გამოითქვა მოსახრება,
რომ აღდგენილიყო ამ ადგილებში პატარა (ცალფა, მორა) ნავეებით მიმოსვლა, რადგან თივის,
შეშის, საქმლის გადაზიდვა და ჭაობის დაშრობასთან დაკავშირებული სხვა სამუშაოების წარმა-
ტებით შესრულება ამ გზით (ე. ი. ნიშებით) ადგილობრივ ბუნებრივ-გეოგრაფიულ პირობებში
უფრო მოსახერხებელია და რენტაბელურიც.

⁴ აქაინჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, ტფ., 1938.

⁵ ნ. ხოშტარია, სოფ. ყულევის არქეოლოგიური გამოკვლევა, იხ. მეცნ. აკად. „მოამბე“,
VII, 1-2, 1946.



ცხრის საზაფხულო სადგომი „ბაკი“
თუშეთში. მხატვარი ნ. თენიშვილი.

Летнее стойло («баки») для скота.
Рис. Н. Тенишвили.

ნაწული აზიკური

ტერმინების „მეზაკე“ და „საბაკე“ გაგებისათვის.

აღმოსავლეთ საქართველოს მთაში — თუშეთში, ფშავში, ხევსურეთში ეთნოგრაფიული, ფოლკლორული თუ დიალექტოლოგიური მასალის შეკრების დროს ვხვდებით ერთი და იგივე ძირისაგან წარმომდგარ ტერმინებს „მეზაკე“, „საბაკე“, რომელთა მნიშვნელობაც ამ კუთხის მცხოვრებთა სიტყვაზმარებაში დღეს დაბნელებულია.¹ მის მნიშვნელობას საფუძვლიანად ვერ განმარტავენ და თუ მაინც ჩავეკითხებით, ასეთ პასუხს მივიღებთ: მეზაკე“ კაცი, რომელიც ბაკს აკეთებს, ან მოსაწველად ბაკში გადადის“; „საბაკე“ კი დღევანდელი გაგებით არის ადგილი, სადაც შეიძლება ბაკი გაკეთდეს, მით უმეტეს, მის გვერდით გვაქვს „ნაბაკარი“ და „ნაბაკევი“ — ადგილი სადაც ბაკი იყო. ამ სიტყვების ძველი, ჩვენთვის საინტერესო შინაარსი ხალხში თითქმის დავიწყებულია.

ფაქტობრივი მასალა ასეთია: რუსეთ-დაღესტნის ომების დროინდელ თუშ გმირს შეთეს თავისი და ასე დასტირის: „შენ ჩემო შეთეო, მეღეკ-მეზაკეო, მებარიახეო, შინ შეხვიდოდე, სახლს დამიმშვენებდე, კარჩი გამო-

ხვიდოდევ, კარს დამიმშენებდევ". (მთხ. სამსონ იოსების ძე ტალიორძე, 83 წლის, სოფ. ჩილო, 1977 წელი).

კარგ ცნობას იძლევა ხულანტზე დაცემის ერთი ეპიზოდის აღწერა. მნიშვნელოვანია ხმარებული სიტყვა „მებაკე“ და რომელიც პირდაპირ მიუთითებს ამ სიტყვის შინაარსზე: „კლდის ქვეშ იდგა ქისტების ცხვარი. თოფი რო დატყვრა, მეცხვარე ეხში შევარდა, ცხვარი თოფის ხმაზე თავქვე დაეშვა. ნაცვალაძე იობი იყო ერთი, ის გაიქცა და შემოაბრუნა ცხვარი. რო გადმოვრეკეთ ის ცხვარი და გავიყავით — ესაო მებაკეაო — იმ იობის ერთი ცხვარი სხვაზე მეტი მისცეს (მთხრ. იროდი ტომეს ძე ცოცანიძე, 78 წლის, სოფ. ქვემო ალვანი, 1977 წ. ივლისი).

„ტერმინი საბაკე დასტურდება ლექსებში:

„საბაკე წოვთ ბიჭებსა მამით ხქონდ ნაბოძვარიო“... (MI, სტ. მენტე-შაშვილი, თუშური ლექსები, 1939). ვინაც ვერ ჩაჰყვეს ჭუჭასა დედა შეერთოს ცოლადა. საბაკეს არ შეეცილნენ ჯილდაზე თოფის სროლასა“. „ხევსა თქვეს მოხევეებმა ხეესურეთ გავატიალოთ, ნითელ-ყვითელა დროშანი საბაკეს ავაფრიალოთ“...²

აქ წარმოდგენილი მასალიდან „მებაკის“ მნიშვნელობა დაახლოებით ერთნაირი ჩანს. პირველი შემთხვევის მიხედვით „მებაკის“ ხმარება „მებარიახის“ (მედროშის) გვერდით მიგვანიშნებს, რომ „მებაკე“ მენ: ნაკეს, ომში წინამძღოლს უდრის. მენნიავისავე მნიშვნელობისა ჩანს „მებაკე“ მეორე შემთხვევის მიხედვითაც: მეომარი წინ გაიჭრა, პირველმა შემოაბრუნა ცხვარი.

„საბაკის“ მნიშვნელობა ნაირგვარი ჩანს: პირველ შემთხვევაში მასალის ჩამწერი სტ. მენტეშაშვილი „საბაკეს“ ასე განმარტავს: „ომში პირველად ჩასვლის პატივი“; მეორე შემთხვევაში ეს ტერმინი თითქოს შეჯიბრებაში გამარჯვებულის ჯილდოს უნდა ნიშნავდეს. მესამე შემთხვევის მიხედვით ძნელია მისი მნიშვნელობის განსაზღვრა, შესაძლოა რაიმე საკულტო ადგილს აღნიშნავს, სადაც ნადავლ დროშას მიიტანენ ან რაზედაც იერიში მიაქვთ და იქ თავის დროშას აფრიალებენ.

გ. ბოჭორიძის განმარტებით, „საბაკე ჯილდო იყო, რომელსაც აძლევდნენ სოფელში პირველად შეჭრილ კაცს: — მას ან ქალს არჩევიანდნენ ან ხარს, ან ცხენს მისცემდნენ“³.

აღნიშნული ტერმინები სემანტიკურ კავშირში უნდა იყოს, დღევანდელ ქართულში მესაქონლეობის სამეურნეო ნაგებობათა კომპლექსის ერთი კონკრეტული სადგომის აღმნიშვნელ სიტყვა „ბაკთან“. „ბაკი“ დღეს საქონლის გადაუხურავი სადგომია წნელით შემოღობილი, ან სხვა რაიმე საშენი მასალით შემორაგული, გვაქვს ცხვრის ბაკი, ცხენის ბაკი, ძროხის ბაკი და ა. შ.

ისმის კთხვა, რა კავშირი უნდა ჰქონდეს „ბაკთან“ ტერმინებს „მებაკე“ და „საბაკე“? ორივე ეს სიტყვა დაკავშირებულია მეკობრულ ლაშქრობასთან, რომელიც ძირითადად ეკონომიური მიზეზებით იყო განპირობებული. ამგვარი ლაშქრობის უპირველესი მიზანი იყო ხვასტაგის დატაცება, ე. ი. იერიში პირუტყვის სადგომზე — ბაკზე. თუშეთის მაგალითზე მეკობრად წამსვლელნი იყოფოდნენ ორ ჯგუფად: თ ა რ ე შ ა დ — ახალგაზრდანი,



მარდნი და მზირად ხანდაზმულნი და იარალში, სროლაში გამოცდილნი. თავდასხმას ბაკზე თარეში იწყებდა. ის გამორეკავდა ბაკიდან ცხვარს და მთას გადმოაცილებდა, მისთვის საჭირო იყო სიფხიზლე და სწრაფი მოქმედება. თარეში რომ ცხვარს აცილებდა, საიმედოდ ჩასაფრებული მზირი მდევარს იგერიებდა. ქებით იხსენიებოდა ის პირი, ვინც აქტიურობას გამოიჩინდა ამ თავდასხმის დროს:

„გიშველოს ლაშარის ჯვარმა ლეგავ, ტყავ-ჩოხავ თხისაო, წინ-წინ ჩამსვლელი ბაკზედა, ამამტანელი ცხვრისაო“. წინ-წინ მივარდა ბაკზედა ციხელათ-ობოლაია“.¹

ამრიგად, მებაკე თავდაპირველად უნდა რქმეოდა კაცს; რომელიც პირველად მიიჭრებოდა პირუტყვის ბაკზე და დიდად გამოიჩინდა თავს საქონლის დატაცებაში. მისი გარჯა სპეციალური ჯილდოთი „საბაკე“-თი აღინიშნებოდა, რომელიც როგორც ეთნოგრაფიული მასალიდან ჩანს, იყო საერთო წილს ზევით მიცემული ხვედრი ნადავლიდან; თავდაპირველად მხოლოდ საქონლის სახით მებაკეს ნადავლიდან არჩევინებდნენ საქონელს.² შემდეგ მნიშვნელობა როგორც ერთი სიტყვისა, ისე მეორისა განზოგადებულა და პირველმა — „მებაკემ“ — მიიღო ზოგადად მენიანვის აღმნიშვნელი ფუნქცია. საბაკე თავდაპირველად მხოლოდ მებაკის საჩუქარი და უშუალოდ ბაკთან დაკავშირებული უნდა ყოფილიყო. შემდეგ კი, როგორც ჩანს, ამ სიტყვის შინაარსი გაფართოვდა და ის იყო სხვადასხვა დამსახურების დროს ჯილდო და პატივი.

1. ამავე ძირიდანაა ნაწარმოები „ბაკის ცხვრის“ მწყემსის წოდება „მებაკური“ და „საბაკური“ — იმ სათიბი და სახნაუი ნაკვეთების სახელწოდება, რითაც სარგებლობენ ხატის ცხვრის მწყემსები. В. В. Бардавелидзе, Земельные владения древнегрузинских святилиц, С. შ., 1949, № 1, стр. 101).

2. ქართული ხალხური სიტყვიერება. III, ლექსები შერეობილი თ. რაზიკაშვილის მიერ. მიხ. ჩიქოვანის რედაქციით, 1953, გვ. 38, 72.

3. გ. ბოჭორიძე, თუშეთი, ნიგნში „მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიისათვის“, ივ. ჯავახიშვილის საერთო რედაქციით, თბ., 1976, გვ. 167.

4. თ. რაზიკაშვილი, დასახელებული ნიგნი, გვ. 33, 38.

5. ლეო ბაიბოიძის ცნობა, 82 წლის. სოფ. ზემო ალვანი.

ნუმბარ ილონიძე

ქვაბ-ქოთანი სოფ. ომალოდან

1978 წლის გაზაფხულზე, თუშეთის სოფ. ომალოს მისადგომებიდან საგზაო-სამშენებლო სამუშაოების დროს, მუშები მიადგნენ მიწის კულტურულ ფენას. დანახშირებულ მიწაში აღმოჩნდა ქვაბ-ქოთანი, რომელსაც ზედ სიბი ქვა ეხურა სარქველად. გაუფრთხილებელმა მოქმედებამ საინტერესო აღმოჩაჩენი ნამტვრევებად აქცია. ნამტვრევები გულდასმით შეაგროვა მუშა ს. სისაურმა, რომელმაც შემდეგ გადმოგვცა იგი. ბულდოზერის ციციხეს მოპყოლია აგრეთვე სხვა ქოთანიც, რომელიც მოზღვავებულ მიწას ხეობაში ჩაუტანია.


ქვაბ-ქოთანი დაშაადებულია ადგილობრივი მასალისაგან — სიპ-ქვა ნარევი თიხისაგან, რაც კარგად ჩანს მონატებებში.

ფორმით იგი ოვალურია, ნაკეთებია უხეშად, აქვს არაპროპორციული საზები. ქოთნის გარე პირთან, სხვადასხვა ადგილას, გამოყვანილია თიხისავე რელიეფური ნიშნები. ერთი მათგანი კავისებურია, სოლო ორი — სწორი ხაზიდან ქვემოთ ჩაშვებული ოთხი თითის ფორმისაა, თუმცა ერთი არასრული სახითაა მოცემული, რადგან მისი ნახევარი დაკარგულია მონამტვრევთან ერთად.

ჩვენის აზრით ეს ნამტვნი ნივთი მნიშვნელოვანია თუშეთის ეთნოგრაფიის თვალსაზრისით. კერძოდ, იგი უნდა იყოს იმის მაჩვენებელი, რომ თუშეთში რაღაცა სახით მეთუნეობაც ყოფილა განვითარებული, რაც აქამდე დადასტურებული არ ყოფილა. ქოთანი რომ ადგილობრივი წარმოებისაა, ამას ადასტურებს მასალა — ფიქალიანი თიხა კახეთის ბარის რაიონებში არ გვხვდება. ამდენად ეს ჭურჭელი იქიდან შემოტანილი არ იქნება.


ჩვენ შევეცადეთ, რომ ადგილობრივ მთხრობელებში მოგვეპოვებინა მასალა თუშეთში თიხის ჭურჭლის დაშაადების შესახებ.

მთხრ. კატო თათრულაიძის ცნობით (80 წლის, სოფ. ომალო) ომალოში თიხის ქვაბებს აკეთებდნენ: „მახსონს ჩემ ქალობას, თიხის ქვაბებ რო გვქონდის, ომალოს ეკეთ“. მეთუნეობასთან დაკავშირებით თუშეთში, კერძოდ ომალოში, საინტერესო ცნობას გვაძლევს გ. ბოჭორიძის მიერ 1935 წელს თუშეთში მოძიებული ეთნოგრაფიული მასალა. მთხრ. ნინო წვერაიძის გადმოცემით (63 წლის, სოფ. შტროლთა) კახეთიდან თუშეთში შემოპქონდათ თიხის სხვადასხვა ჭურჭელი. ადგილობრივი ნამუშევარი მხოლოდ ქოთანი ყოფილა. „ქოთანი ქვაბი არის, მოყვანილობით მრგვალია, აქვს პირი, ტანი, მსკერი (ძირი). ის დაბალი ნამუშევარია, ხმარობენ ხორცის, ფაფის, ლობიოს მოსახარშად, კარგ საჭმელს აკეთებსო. უწინ ის უკეთებიათ სოფ. ომალოში (ეხლა აღარ აკეთებენ) — „თიხას — მოზელდეს გააკეთებდეს ქოთანს, მემრ ცეცხლჩი ჩაზდგომოდესადა გამააცხოზდეს“¹. ქვაბ-




ქვაქოთანი

Кувшин .



0 5 10 12



ქოთანზე გამოსახული რელიეფური ნიშნები დაკავშირებული უნდა იყოს ადგილობრივი მოსახლეობის წარმართულ რწმენა-წარმოდგენებთან, სხვადასხვა სიმბოლური ნიშნებითა და მაგიური მოქმედებებით, გამოხატავენ რა თავიანთ თაყვანისცემას ზებუნებრივი ძალებისადმი, ამ წარმოდგენების თანახმად, ხელს უწყობდნენ ნაყოფიერების ზრდასა და კეთილდღეობას. „თანახმად ხალხის შეხედულებისა, მაგიურად ნახატი და ნაძერწი რეალურად ქმნიდა იმას, რასაც იგი აღნიშნავდა“¹.

საინტერესოა ამ მხრივ თუშეთის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ფიქსირებული რიტუალური კვრები. საქონლის კულტთან დაკავშირებული ცერემონიების დროს მათზე გამოჰყავდათ ფურისა და ცხერის სარძევე თითების გამოსახულებები. შესაბამისი წარმოდგენით, ამგვარი მოქმედება ხელს უწყობდა საქონლის ნაყოფიერებას, „ზე-წველის“ სიუხვეს. სავარაუდოა, რომ ამ დანიშნულების იყოს ომალოში ნაპოვნ ქვაბ-ქოთანზე გამოჩატული რელიეფური ნიშნებიც.

¹ „მასალები შინამრეწველობისა და ზელოსნობის ისტორიისათვის საქართველოში“, „მეცნიერება“, 1979 წ., ტ. 11, გვ. 71.

² ვ. ბარდაველიძე „ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული ზელოვნების ნიმუშები“, 1953 წ., გვ. 73.

თინა ივავლაშვილი

აჯილაკი სამცხე-ჯავახეთში

სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის ყოფისათვის დამახასიათებელ საქორწინო წეს-ჩვეულებათა მრავალსაფეხურიანსა და რთულ სისტემაში საინტერესო მოვლენას წარმოადგენდა ნეფე-დედოფლისათვის საქორწინო ტახტის ანუ „აჯლა||აჯილაკის“ მონყობის წესი. ეს ჩვეულება საყურადღებოა არა მარტო, როგორც ზემოხსენებული კუთხის მოსახლეობის საქორწინო ინსტიტუტის შემადგენელი ელემენტი, არამედ როგორც სპეციფიკური მომენტი ქართულ საქორწინო რიტუალში.

ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, თუ საქორწინო სუფრას ბოსელში გააწყობდნენ, მაშინ აჯლა||აჯილაკს აკეთებდნენ კედელთან, შესასვლელიდან მარჯვენა მხარეს. ის წარმოადგენდა ფიცრის ტახტს, რომელზედაც გადაფარებული იყო ჯერ ჯეჯიმი, შემდეგ ფიჩვი ან ხალიჩა, ხოლო ზემოდან კი ბუმბულის საში ბალიში იდო ნათლიისა და ნეფე-დედოფლისათვის. აჯლა||აჯილაკის გასწვრივ კედელზეც ფიჩვი-ხალიჩა ან ჯეჯიმი იყო გაკრული. თუ ქორწილს დარბაზში იხდიდნენ, მაშინ აჯლა||აჯილაკს მხოლოდ ფიჩვი-ხალიჩებით მორთავდნენ.

სანადიმო სახლში აჯლა||აჯილაკი ისე იყო გაკეთებული, რომ მასზე მსხლომ ნეფე-დედოფალს ჰირი აღმოსავლეთისაკენ პქონდათ მიქცეული. ის ოდნავ ამალღებულად იყო და ნეფე-დედოფალი მონადიმე ბალხს ზემოდან დაჰყურებდა, ნეფე-დედოფალი ნათლიითურთ აჯლა||აჯილაკზე იჯდა მთელი ქორწილის განმავლობაში. მას გარდა აქ დაჯდომის უფლება სხვას არ პქონდა.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, აჯლა||აჯილაკს სხვა დანიშნულებაც პქონდა. დედოფლის სახლში ნეფისათვის პატარძლის „ჩაბარების“ წესს მის წინ ასრულებდნენ. „ჩაბარება“ მხოლოდ და მხოლოდ აჯლა||აჯილაკის წინ უნდა შესრულებულიყო. საქორწილო ტანსაცმელში გამოწყობილ პატარძალს გამოიყვანდნენ სანადიმო სახლში, ნათლიაც ნეფეს აჯლა||აჯილაკიდან გადმოიყვანდა, პატარძლის პირისპირ დააყენებდა და საპატარძლოს მამა, ან ოჯახის სხვა რომელიმე უფროსი მამაკაცი შეასრულებდა ჩაბარების წესს.

საქორწილო რიტუალის ამ აუცილებელი ელემენტის შესახებ სპეციალური გამოკვლევა არ დაწერილა, მაგრამ მის შესახებ გვხვდება ზოგიერთი ცნობა და მოსაზრება.

საერთოდ, ქორწილის დროს ნეფე-დედოფლისათვის განკუთვნილ ადგილს აჯლა||აჯილაკის სახელწოდებით მხოლოდ სამცხე-ჯავახეთის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ვხვდებით. მისი მონყობის წესს ასრულებდნენ

როგორც კათოლიკე და მართლმადიდებელი ქართველები, ისე ებრაელებიც განსხვავება შეინიშნება მხოლოდ იმ მხრივ, რომ სამცხის ქართველები და ებრაელები ამ საქორწილო ტახტს „აჯილაკს“ უწოდებდნენ, ჯავახურდი კი „აჯლას“. სამცხე-ჯავახეთის გარდა, საქართველოს სხვა კუთხეებისათვის სიტყვა აჯლა||აჯილაკი უცნობია. ასევე უცნობად დარჩა იგი მოგვიანებით (ჩვენი საუკუნის 40-იანი წლების მეორე ნახევარი) სამცხე-ჯავახეთში საქართველოს სხვა კუთხეებიდან ჩამოსახლებული ქართველებისათვისაც, მიუხედავად იმისა, რომ მათ მჭიდრო ურთიერთობა დაამყარეს დამხვედურ მოსახლეობასთან.

თავდაპირველად ვფიქრობდით, რომ სიტყვა აჯლა||აჯილაკი სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობაში თურქული ენის გავლენით უნდა დამკვიდრებულიყო. მაგრამ ჩვენს ხელთ არსებული თურქული ენის სიტყვარებში ამ ტერმინის შესატყვისი არ მოიპოვება. ასევე არ გვხვდება იგი სომხურ სიტყვარებშიც. თუმცა XIX საუკუნის I ნახევრიდან სამცხე-ჯავახეთში გადმოსახლებული სომხები ამ სიტყვას ხშირად იყენებენ, რაც მათ მიერ ქართლისაგან შეთვისებით უნდა აიხსნას.

მკვლევართა ნაწილი აჯლა||აჯილაკს მიიჩნევს მხოლოდ და მხოლოდ ქორწილის დროს ნეფე-დედოფლის დასაჯდომ თუ დასადგომ ადგილად. მაგალითად, თ. ჩიქოვანი აღნიშნავს, რომ „მესხურ-ჯავახურ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში, ყველა იმ სოფელში, სადაც კი მუშაობა მოგვიხდა, მთხრობელთა გადმოცემით აჯილაკი არის ქორწილის დროს ნეფე-დედოფლისათვის სპეციალურად მოწყობილი ტახტი, რომელიც ქორწილის დამთავრების შემდეგ უნდა აღებულიყო“¹. სხვა მკვლევართა უფრო ადრეულ ნაშრომებში კი აჯლა||აჯილაკი მიჩნეულია არა მარტო ქორწილის დროს ნეფე-დედოფლის დასადგომ თუ დასაჯდომ ტახტად, არამედ მათ თავდაპირველ საწოლადაც².

ველზე მუშაობის დროს გამოიჩინა, რომ მთხრობელთა უმრავლესობა აჯლა||აჯილაკს არ თვლის ნეფე-დედოფლის პირველ საძინებელ ტახტად, რაც მხარს უჭერს თ. ჩიქოვანის ზემოთ მოყვანილ დებულებას, რომ აჯლა||აჯილაკი წარმოადგენდა მხოლოდ და მხოლოდ ნეფე-დედოფლის დასაჯდომ თუ დასადგომ ადგილს. სამაგიეროდ ივ. ჯავახიშვილის სახელობის სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდებში მითითებულია, რომ ის ქორწილის შემდეგ მთელი ერთ წელი ნეფე-დედოფლის საძინებელ ტახტს წარმოადგენდა. ერთ-ერთ ხელნაწერში კვირხულობთ: „ქალაქის დარბაზებში (იგულისხმება ქ. ახალციხე—თ. ი.) შესასვლელ კარებში გასწვრივ ერთ კუთხეში გამართულია ძველთაგან აჯილაკი ნეფე-დედოფლისათვის. ქორწილის დროს ახლად ჯვარდანერჩილ ნეფე-პატარძალს დარბაზში რო შეიყვანდნენ, ამ აჯილაკზე აიყვანდნენ და იქ მობალიშებულზე დააყენებდნენ... ნეფე-დედოფლის საწოლათ იყო აჯილაკი მთელ წელიწადს“. ამავე ხელნაწერში აღნიშნულია, რომ „აჯილაკი გამართულია მაღალზე დარბაზის იატაკიდან ოთხი-ხუთი ფეხით ასასვლელ კიბუზე, რომლის სიგრძე 3 არშინს უდრის და განი 2 არშ. აჯილაკის ქვეშ სოფლის ბატონების დარბაზში პატარა სარდაფია, სადაც საწნახელია დამ-



თენილი ქვეთვირისა, საგანგებოდ ყურძნის სანურავათ. იმავე მუზეუმის ფონდებში დაცული სხვა ხელნაწერის მიხედვით აჯილაკი არის „დარბაზის კედელში დატანებული აივანი მეფე-პატარძლის დასასხდომათ“.

მართალია, თ. ჩიქოვანი ზემოთ აღნიშნულ დებულების დასაბუთებისას იმონებს სულხან-საბა ორბელიანს, ს. მაკალათიას და აღნიშნავს, რომ „ს. მაკალათიას აჯილაკი დამონმებული აქვს სწორედ როგორც ნეფე-დედოფლის საჯდომი ტახტი ქორწილის დროს. დიდი ქართული ლექსიკოგრაფის სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით აჯილაკი ანუ აჯლა არის „საქორწინო ტახტი“. მაგრამ იგი იქვე არ აღნიშნავს ს. მაკალათიას შემდეგ ცნობას „თუ დარბაზი აჯილაკიანი იყო (ხაზგასმა ჩვენია — თ. ი.), ნეფე-დედოფალი წებოდნენ პარამოდაში, რომელიც აჯილაკის ზემოა გამართული“³. ასევე დამაფიქრებელია სულხან-საბა ორბელიანის განმარტება, რომ აჯილაკი არის „საქორწილე ტახტი“, რაც აჯლა|აჯილაკის ორმხრივი დანიშნულების მანიშნებელია, რამდენადაც საქორწილე ტახტი შეიძლება გამოყენებულ იქნეს არა მარტო ქორწილში ნეფე-დედოფლის საჯდომად, არამედ მათ სანოლადაც, ვინაიდან ტახტი უფრო მეტად სანოლად გამოიყენებოდა, ვიდრე დასაჯდომად.

ჩვენი საუკუნის დასაწყისიდან დარბაზების ნაწილი რომ აჯლა|აჯილაკიანი იყო, ნათლად ჩანს, როგორც ს. მაკალათიას ნაშრომიდან, ისე სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდებიდანაც.

რა თქმა უნდა, აჯლა|აჯილაკი დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო სრულფასოვანი დარბაზებისათვის. სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი საქართველოს გასაბჭოებამდე მძიმე ეკონომიკურ პირობებში იმყოფებოდა. ასეთი ვითარება შეუძლებელს ხდიდა სრულფასოვანი დარბაზების მშენებლობას აჯლა|აჯილაკითურთ, რამაც განაპირობა მთხრობელთა უმრავლესობაში ამ ელემენტის დავიწყება. ამიტომაც, რომ ბევრი მთხრობელი დარბაზის აჯლა|აჯილაკის შესახებ ზღარაფერს გვეუბნება.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მთხრობელთა უმრავლესობა საქორწინო ნადიმის ადგილად ასახელებენ ბოსელს და არა დარბაზს. აქედან აშკარაა, რომ ბოსელში დროებით მოწყობილი აჯლა|აჯილაკი ქორწილში ნეფე-დედოფლისათვის დასაჯდომად იყო განკუთვნილი და ამდენად ის საძილე ტახტად ვერ გამოდგებოდა. ამასთანავე მთხრობელები იპასავენ გვაუწყებენ, რომ ახლად დაქორწინებულთათვის სანოლ ტახტს ბოსელში აწყობდნენ აჯლა|აჯილაკის ადგილზე მალა, რომ საქონელი არ შესწავდომოდა.

აღნიშნული მონაცემების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ აჯლა|აჯილაკი წარმოადგენდა არა მარტო ქორწილში გამოყენებულ სარიტუალო კუთხის, არამედ აგრეთვე ახალ შეუღლებულთათვის განკუთვნილ სანოლ ტახტსაც.

როგორც ზემოთ არის აღნიშნული, დარბაზში მოწყობილი აჯლა|აჯილაკის ქვეშ ხშირად სანახელი იყო მოთავსებული. გამორიცხული არ იყო მის ქვეშ მარცვლეულის შესანახი ორმოს და ამბარის გაკეთებაც. ახლად დაქორწინებულთათვის საძინებელი ტახტის მოწყობა ბელელში საქართველოს სხვა კუთხეებშიც მოწმდება⁴.

ნეფე-პატარძლისათვის სამცხე-ჯავახეთში საძინებელი ტახტის მიწ-



ყოფა სანწახელის თუ პურის ორმოს თავზე, ხოლო საქართველოს სხვა კუთხეებში — ბელელში, შემთხვევითი არ უნდა იყოს, რამდენადაც რელიგიური ეორნილი და სექსობრივი ურთიერთობა თავის მხრივ უკავშირდება მცენარეულობის აღმოცენებას, ზრდას, ბარაქიანობას. ყველაფერი ეს მიდის ნაყოფიერებისა და გამრავლების შესახებ უძველეს ეპოქაში წარმოშობილ რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებთან, რომლის მიხედვითაც შეუღლება ბუნების ძალებზე ზემოქმედების ერთ-ერთი უპირველესი საშუალება იყო და ბუნების აღორძინება-განდიდების საქმიანობისათვის სრულდებოდა. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა სანოლი ტახტის მონყობა ბოსელში, რაც, შესაძლებელია, საქონლის გამრავლების მაგიური ზემოქმედების საშუალებადაც ყოფილიყო გამოყენებული. ამას გვაფიქრებინებს ბოსლობაში არსებული რიტუალი, რომლის შესწავლის საფუძველზე ვ. ბარდაველიძე მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ბოსლობაში შესრულებულ სექსობრივი კავშირის გამომხატველ რიტუალებს „ადამიანის გაგებით მაგიური ზემოქმედება უნდა მოეხდინა საქონლის გამრავლებაზე (სამპათიური მაგიის კანონის ძალით: „მსგავსი მსგავსს გამოიწვევს“)¹.

ყოველივე ეს აშკარად გვიჩვენებს, რომ აჯლა|აჯილაკი წარმოადგენდა საქორწილო რიტუალის საინტერესო ელემენტს, რომელსაც ღრმა ფესვები აქვს ქართველი ხალხის სოციალური ყოფისა და რელიგიური რწმენა-წარმოდგენების განვითარების უძველეს საფეხურთან. პირველ რიგში ამის მანიშნებელია აჯლა|აჯილაკის პირველ სანოლ ტახტად გამოყენების წესი, რის შესახებაც ყოფაში ბევრი რამ დაიწვევება მივცა; მაგრამ შემორჩენილი მასალების მიხედვითაც ჩანს, რომ ძველ საქორწილო რიტუალში მას ეს ფუნქციაც უნდა ჰქონოდა.

¹ თ. ჩიქოვანი, ამერკავკასიის ზღვურ საცხოვრებელ ნაგებობათა ისტორიიდან, თბ., 1967, გვ. 27.

² გ. ჩიტაია, გლეხის სახლი ქვანთაში, „მომოწილელი“, I, ტფ., 1926, გვ. 149; გ. ჩაბაშვილი, ახალციხური დარბაზები, ხელნაწერები, თბ., 1949 (ხელნაწერი დამოწმებული გვაქვს თ. ჩიქოვანის ზემოთ დასახელებული ნაშრომიდან, გვ. 88).

³ ს. მასკალათია, მესხეთ-ფაეხეთი, თბ., 1938, გვ. 97.

⁴ გ. რუხაძე, ზღვურ აგრიკულტურა დასავლეთ საქართველოში, თბ., 1926, გვ. 181.

⁵ ვ. ბარდაველიძე, ქართული (სვანური) საწესო ვრავილელი ხელოვნების ნიმუშები, თბ., 1953, გვ. 97.

ჯუნიის ონიანი

კამარაი

კამარაი სვანურად ნიშნავს თალს (სახლის, სახურავის, ცის), ნახევარ-წრეს, რკალს. ამავე მნიშვნელობისაა ქართული კამარა (ცის თალი, გუმბათი, რკალი). ეს სახელწოდება სვანეთში იხმარება გადატანითი მნიშვნელობითაც და ხის პატარა ბოძზე დამაგრებულ რკალისებრ მოღუნული მცენარის ტოტებისაგან გაკეთებულ გვირგვინს ჰქვია, რომელზედაც ჩამოკიდებენ ყველანაირ ხილს — ყურძენს (რაც აუცილებელი ატრიბუტია ამისი), ვაშლს, მსხალს და ა. შ. აგრეთვე — კვერცხებს, სხვადასხვანაირად შეღებილს, ყველისაგან გაკეთებულ მზის, მთვარის და ფრინველთა გამოსახულებებს, პურის თაველებს; წვერში მზის ან მთვარის გამოსახულება, ხოლო იქით აქეთ თავფლის სანთლები უნდა ჰქონდეს. მასვე ჩამოკიდებენ ქალის თმისავით დანულ ყველს.

კამარაის, სათანადოდ განწყობილს, დგამენ მიცვალებულის წლისთავისადმი მიძღვნილ სუფრაზე, რაც მნახველზე საინტერესო შთაბეჭდილებას ახდენს. მისი კარგად განწყობა, მორწმუნეთა აზრით, ოჯახის და თვით მიცვალებულის სახელს ამალღებს. კამარაი ძველად აუცილებელ ატრიბუტს წარმოადგენდა დიდი აღდგომის სუფრისა, ახლა ეს წესი მივიწყებას მიეცა, ხოლო მიცვალებულის წლისთავზე ახლაც კეთდება იგი. კურთხევის შემდეგ ქალები სუფრაზე ჩამოარიგებენ კამარაის მორთულობას, ხოლო ხის ნაკეთობას წვავენ. აღდგომის დღესასწაულზე, კურთხევის შემდეგ, კამარაის ბავშვებს აძლევენ და ისინიც დიდი ხალისით იტაცებდნენ მის სამკაულებს; ხის ნაკეთობას წვავდა ოჯახის უფროსი.

კამარაი არა მარტო სახელწოდებით, არამედ შინაარსითაც (მორთულობის მიხედვით, ფორმით) ასოცირებულია ცასთან, ცის კამარასთან ცისარტყელასთან, რასაც თავისი ახსნა მოეპოვება. თვით ტერმინის, კამარას (სვან. კამარაი) ახსნა მეცნიერულად პირველად აკად. ნ. მარმა სცადა. იგი თალს (свод арка) ცის სინონიმად თვლიდა. მასვე მოჰყავს ამ სიტყვის პარალელები სხვა ენებიდან: ფრანგული, შამპრ, ესპანური კამარა, ლათინური კამერა, კამარა, კამინუს, რომელთაც იგი ბერძნულიდან ნასესხებად თვლიდა. სომხურად არის კამარა, ბერძნულად კამარა, კამარე (თალი, თალისებრი სათავისი)!

ქვემო სვანური კამარაის ზემოსვანურ ფორმად ნ. მარს მიაჩნია კამრა. იგი რა დაბოლოებას მიიჩნევს მრავლობითობის არ დაბოლოებად. დეცე კამრა (ეცერი) „ცის თალი“, კამრა (უშგული) „ნახევარი წრე“, „ან“ „წრეა“. აქვე მიუთითებს იგი, რომ კამრა ჰქვია მიცვალებულის სამახსოვროდ ამართულ ხის ბოძს, რომელსაც სუფრაზე დგამენ კვერცხებით, ნაყოფით და ტკბილეულით მორთულს. მასვე მოჰყავს ივ. ნიჭარაძის რუსულ-სვანურ

სვანური კამარაი.
Сванский «камарай».



ლექსიკონში მოცემული ამ ტერმინის თარგმანი — „მურგვალ დეც ლეგმა-
ლემიშ — Круглый свод здания.²

6. მარის აზრით, ტერმინი „კამარა“ იაფეტიდების „კუთვნილება იყო და აქედან გადავიდა იგი ხმელთაშუაზღვის აუზის ქვეყნებში. კამ ძირია ამ სიტყვისა, არ მრავლობითის-ნიშანი „რაც სვანურისათვის ახლაც დამახასიათებელია. იაფეტიდებისათვის უძველეს ხანაში საერთო მოვლენა უნდა ყოფილიყო გამოთქმები — „მთები“, „თავეები“, „ცები“,³ გამორჩენილი მეცნიერი რამდენად სწორია ამ შემთხვევაში ამის ახსნა ჩვენთვის ძნელია, მაგრამ იმის თქმა ნამდვილად შესაძლებელია, რომ ქართველი ტომების კოსმოგონია ძალზე რთულია და მისი სანჯისები შორეულ წარსულში იმალება და თანაც ისეთი დიდი შინაარსის მქონეა, რომ ტოლს არ უდებს ამ მხრივ უძველეს ცივილიზებულ ერებს.

სვანური კამარაის რიტუალში, თუ არ ვცდებით, კლასიკური ფორმით ჩანს სიცოცხლის ხის მოტივი, რომელსაც სვანეთში სხვა პარალელებიც მოეპოვება: თოვლის კოშკი (მურყვამი), ნაძვის და ხის ბოძის აღმართვა (მურყვამობა-კვირიობის დღესასწაულებზე),⁴ საახალწლოდ შესრულებული გრაფიკული გამოხატულება „თხები ჭამენ ფიჭვს“, აგრეთვე სიცოცხლის ხის მოტივი ლაზურ ორნამენტში ხევესურული მეგრულაურის მთრონიანი მუხა, ფშაური ლაშარის ჯვრის ოქროს შიბიანი ბერ-მუხა, მცხეთის „სვეტიცხოველი“, მარტვილის ჭყონდიდი, მეგრული „კელაპტარი“ (მიცვალებულის ხე), ბავშვის სახელზე ხის დარგვის ჩვეულება გურიაში, დასავლური ქართული ჩიჩილაკი, ხემხვივანი (ვაზი) და მრავალი სხვა.⁵

სვანური „სიცოცხლის ხის“ მოტივი „საქართველოს გარდა პარალელებს პოულობს მცირე აზიის ქვეყნებში, მესოპოტამიასა⁷ და ეგვიპტეში.



ორკვევა, რომ კამარაი და მისი ახლო პარალელები იყო ნაყოფიერების ღვთაების გამოშახველი, მსგავსად იმისა, როგორც ძველი ბერძნები თავს ვანს სცემდნენ დიონისეს — ხეს, რომელსაც გამოსახავდნენ ბოძის სახით უხელოდ, მანტია წამოხურულად, თავზე ფოთლების გროვით და წვერით⁸. ეგვიპტეში ბოძების აღმართვა ხდებოდა რამდენიმე ღვთაების (მინის, ამონის და ოზირისის) სახელზე, ასევე მცირე აზიაში ცნობილი იყო ატისის, პალესტინაში აშურისა და სხვა ღვთაებათა ბოძები.⁹

სვანური კამარაი ნათლად გვიჩვენებს სიცოცხლის აის მოტივის ასტრალურ ხასიათს. მსგავსი პარალელები მურყვამობა-კვირიაობაში ბევრია. კამარაი ხტონური ღვთაების სიმბოლო, ან მისი განსახიერებაა. ხტონური ღვთაების ფუნქციები უშუალოდ უკავშირდებოდა ნაყოფიერების ღვთაებას, როგორც ვეგეტატიური ბუნების მქონეს. სვანეთში ნაყოფიერების უდიდეს ღვთაებად კვირია ითვლებოდა. თუ ხევსურულ ტრიადაში კვირიას მესამე ადგილი ეკავა (ვ. ბარდაველიძე), სვანურ წარმართულ პანთეონში ასტრალურ ღვთაებათა შვიდეულში იგი პირველ ადგილზე იყო და ცისა და მზის ღვთაების უღლებების მატარებელიცაა. მსგავსი პარალელები ძველი აღმოსავლეთის რელიგიებშიც მოგვეპოვება. კვირიასადმი მიძღვნილ ერთ სვანურ საგალობელში ნათქვამია:

ცის მონანილე ხარ კვირია.
 მზევ, ცისა კვირია.
 ბერო, წყლისა კვირია,
 მინა-წყლისა კვირია,
 ასე მარჯვნივ... (ტექსტს დანარჩენი აკლია).

კამარაის მორთულობა, მისი აგებულება მიგვანიშნებს იმაზე, რომ ნაყოფიერების ღვთაების საუფლოში შედიოდა ცა, მზე და მთვარე. თვით კამარაი სიმბოლურად ცის გუმბათია, მასზეა მზე, მთვარე. ვარსკვლავები, ფრინველების გამოსახულებანი ცის ასოცირებას იწვევს. ნაყოფიერების ღვთაება გაიგივებულია ცასა და მზესთან, მინასთან და მინის ნაყოფთან. აშკარა მსგავსება ჩანს კამარაის და კვირიას საგალობლისა ცისა, მზისა და მინის ერთ მთლიანობაში გააზრების მხრივ. ყურძენი, სხვა ხილეული, პურის თაველები, მინის ნაყოფიერების სიმბოლოებია. კვირიასადმი მიძღვნილი მთელი რიგი სვანური რიტუალები ადასტურებენ ამ ღვთაების მზესთან და ცასთან კავშირს, ამიტომ შეიძლება არ იყოს საფუძველს მოკლებული ვარაუდი, რომ კვირია სვანური ფუნსნაბუასდიას (დიდი ღმერთი) პროტოტიპად, წარმართულ სახედ და ხატად ჩავთვალოთ.

სვანური კამარაი აქამდე ჯერჯერობით ცნობილი სიცოცხლის ხის ამსახველი მოტივებიდან ყველაზე სრულად ასახავს ცისა და მინის კავშირს და ნაყოფიერების ღვთაებას, როგორც ხტონურ ღვთაებას, საიქიოს საბრძანებელსაც აკუთვნებს.

კვირია რადგან ვეგეტატიური ღვთაებაა, მიცვალებულის კულტიც მას დაუკავშირდა, რამდენადაც ძველი სვანური რწმენებით, საიქიოში მიცვალებული ღმერთთან ან მის ახლოს აგრძელებს არსებობას; ამიტომ მიცვალებულის ღვთაებასთან წილნაყრობის, მასთან ღვაწლოების განაღდების




„უეჭველობის“ საიმედო, უტყუარი პირობაა კამარაი. კვირიას და მიცვალებულის ერთმანეთთან კავშირზე კამარაის გარდა მიუთითებს სხვადასხვა ტერესო საბუთიც. ესაა კვირიას დიადი საგალობლის (სიმღერის) ¹რომელსაც სვანები ლილეზე უფრო მნიშვნელოვნად თვლიან) საპატიო მიცვალებულის გასვენების დროს შესრულება. მიცვალებულისადმი ყველაზე დიდ პატივსაცემად კვირიას საგალობლის შესრულება ითვლებოდა. კამარაი რომ პირველად ნაყოფიერების ღვთაების განსახიერება იყო და მიცვალებულის კულტს უფრო გვიან დაუკავშირდა, ამის დამადასტურებლად მიგვაჩნია მისი პურის თაველებით შემკობა. ძველი სვანური რწმენით სხვა შემთხვევაში მიცვალებულისადმი „უმი“ (არამზა) პროდუქციის კურთხევა ჯერჯერობით არ არის ცნობილი.

ყურძნისადმი განსაკუთრებული ყურადღება იმით უნდა აიხსნას, რომ ნმინდა ხეთაგან (ნაძვი ფიჭვი, არყი, კაკალი, მდგნალი მუხა, მსხლის ხე, ალვის ხე) პირველობა ვაზს უნდა ჰქონოდა. კამარაის გამწყობი, ყურძენი თუ არ ექნებოდა, არც თვლიდა საჭიროდ მის გაკეთებას.

ამრიგად, სვანური კამარაი თამამად შეიძლება ჩაითვალოს ქართველური ტომების სოციალური და მატერიალური კულტურის უძველესი ისტორიის ერთ-ერთ საინტერესო მონაპოვრად. იგი სამეურნეო კულტურის და ყოფის განვითარების გარკვეულ საფეხურზე წარმოიშვა და რელიგიურმა ბურუსმა ვერ დაჩრდილა მისი რეალური სათავე. ამასთან ერთად, იგი არის ერთ-ერთი წყარო ქართული წარმართული რელიგიის მთელი რიგი საკითხების კვლევისათვის.

¹ Н. Я. Марр, Избранные работы, т. III, М.-Л., 1934, стр. 200, 201.
² იქვე, გვ. 201.
³ იქვე, გვ. 202.
⁴ ჟ. ონიანი, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (სვანური მურყავაობა-კვირიობა) სადისერტაციო შრომა ისტ. მეცნ. კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად. ხელნაწერი, 1970 წ. თბილისის ისტორიის ინსტიტუტი.
⁵ გ. ს. ჩიტაია, სიციხელის ზის შოტიეი ლაზურ ორნამენტში, ენიშის მოაზზე. ტ. X, თბ., 1941, გვ. 319-320.
⁶ გ. ს. ჩიტაია, ლაზური ორნამენტი, ძველის მეგობარი, 1967, № 12, გვ. 77-79.
⁷ В. Бардавелидзе, Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство груз. племен, Тб., 1957, стр. 54—81.
⁸ Дж. Фрезер, Золотая ветвь, вып. III, М., 1928, стр. 102.
⁹ Ю. Францов, Фетишизм и проблема происхождения религии, М., 1940, стр. 23—25.



ლიჩენის დღესასწაული პადიში.

Праздник личениши в Адши.

ჯულიეტა რუსაძე

ერთი რელიგიური დღესასწაულის შესახებ სვანეთში

1966 წელს ზემო სვანეთში ეთნოგრაფიული მივლინების დროს პადიშის თემში შემთხვევით დავესწარი ერთ დღესასწაულს, რომელსაც ლიჩენიში ჰქვია - დღესასწაული სოფლიდან 2,5 კილომეტრის დაშორებით ძველ ნასოფლარებთან ჩანიშის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიაში ყოველწლიურად იმართება.

დღესასწაულმა აღმოსავლეთ საქართველოს მთის ის წესი გამახსენა, რომელიც შიშველი ბავშვის სამჯერ დროში ქვეშ შეგორებას გულისხმობდა და რომელსაც მთიულეებსა და გუდამაყრელებში სანულეობა ან ხატში გარევა ერქვა, ფშაველებთან ბავშვის მიბარება, ხევსურებთან სანულეობის გარდა, ჯვარში გაყვანა და მისამბაარეო ეწოდებოდა.

ლიჩენიში მოძრავი დღესასწაულია, რომელიც კვირიკობის შემდეგ (კვირიკობა მყარი დღესასწაულია, 28 ივლისს იმართება) ხუთშაბათს ერთი წლის ასაკის ბავშვის მიმართ სრულდება, მას ლოცულობს აგრეთვე უძეო ოჯახი და შესთხოვს ძის გაჩენას: ჯგრაგ ლიჩენიში ანუ ქუდოსანი წმ. გიორგი მამაკაცის ფუნქციებში შემავალი ყველა საქმიანობის მფარველია. ის იღავს მუზრნეს, მეომარს და მონადირეს. მას, როგორც ჩანს ნადირთ ღვთაების ფუნქციები აქვს მითვისებული.¹ დღესასწაული საოჯახო საკუ-



თრებაზეა დაფუძნებული და ლოკალურ სათემო დღესასწაულად ითვლება. მისი მლოცველები არიან თემის წევრები (თემი ერთი სოფლისაგან შედგება და ორი გვარი: ავალიანები და ქალდანები ცხოვრობს) და სხვები — სოფლიდან გათხოვილი ქალი და მისი შთამომავლობა მეშვიდე თაობამდე.

დღესასწაულის სამზადისი ოჯახში მრავალგვარი ტრადიციული წესისაგან შედგება.

ამ დღისათვის ხდება შესაწირი საქონლის გამოყოფა, რიტუალური პურებისათვის ფქვილის, ყველის მომზადება, სანთლის ჩამოქნა, არყის გამოხდა, დროშისათვის ხის (ღვაც.) გათლა, სახლ-კარის, ჯამჭურჭლის დასუფთავება და ტანის დაბანა, უსაფუფრო-სამარხო კვერების (კუახ-ლემხირ.) და ხაჭაპურების (ქუთუარ.) გამოცხობა.

ამ დღესასწაულთანაა დაკავშირებული თემის ყველა სრულასაკოვანი წევრისათვის გათვალისწინებული აკრძალვები, მაგ. დღესასწაულის დაწყებამდე ყველა ოჯახს ერთი თვით ან რამდენიმე კვირით ადრე ცოლქმრული ურთიერთობა უნდა შეწყვიტა. ოჯახიდან მოშორებით ან იზოლირებულად უნდა ყოფილიყვნენ „უნმინდური“ — ახალ ნაშობ ბავშვი 6 თვემდე და „თვისბეგარიანი“ ქალები.

დღესასწაულში მონაწილეობას ვერ მიიღებდა: ახალდაქორწინებული, სულით ავადმყოფი და ახალი მგლოვიარე ოჯახის წევრები. „უსუფთაო“ ადამიანი ეკლესიაში და მის გალავანში ვერ შევიდოდა. აკრძალული იყო დღესასწაულამდე თიბვის დაწყება და სხვ.

არ უნდა დაევიწყოთ, რომ სოფლის ცხოვრებაში ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო პერიოდი. სწორედ ამიტომ, დღესასწაულის სამზადისს, ისევე როგორც აკრძალვებს, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ და ყველანაირ საქმეს დიდი ხალისით და უხმაუროდ ასრულებდნენ.

ახლა ვნახოთ როგორ ხდება ახალშობილი ვაჟისათვის ლოცვა-ვედრება. ასეთი ვაჟის ოჯახს მოლჩენიში პქვია და მათ ლიჩენიშისათვის ძღვენის მომზადება ევალებათ. მოლჩენიში ამზადებს პირველი ვაჟისათვის ჯოხს და მასზე გასაკეთებელ ერთ ან რამდენიმე ფერად თავსაფარს — „დურშაის“, ორი-სამი წლის მოზვერს (ხაბნა ან ორვერძს (ოჩი გიცარ). მოლჩენიშს ძღვენად მიაქვს აგრეთვე ცხრა ან მეტი სამარხო კვერი, სადილად 20-30 ხაჭაპური და ზოგიერთი მონათხრობით ერთი ფუსნამუჟელუ — მამაკაცის სახელზე განკუთვნილი პური; სანთელ-საკმეველი, რომელთაგან ერთი ზოგჯერ განსხვავებული სიდიდის იყო, ერთი ან ნახევარი ბოთლი ნათავედი და 5 დოქი (დოქი — 5 ლიტრი, ლერქვაში, სვან.) რახი; ხაჭაპურები, რახი და ფუსნი მუჟელუ სადილისათვის იყო განკუთვნილი, სხვა კი შესაწირს წარმოადგენდა.

მეორე ვაჟის სახელზე უფრო ნაკლები ხარჯია გასაწევი; წირავენ „დურშაის“, ერთ საკლავს, შედარებით ნაკლებ ლემზირს (სამზე ნაკლები არ შეიძლება), სანთელ-საკმეველს, ნახევარ ბოთლ ნათავედს. ოჯახიდან



სადილად მიაქვთ სხვადასხვა გულიანი ხატაპურები და სამი ან ოთხი ლექვაში რახი.

თუ ერთ ოჯახში ორი მოლჩენიშია, ძღვენი ორივეს ცალ-ცალკე აქვს. აღსანიშნავია, რომ მოლჩენიშის ძღვენი მეორე წელს მხოლოდ ლემზირების, ნათავედის, სანთლისა და საკმეველისაგან შედგება.

ვინ საქმიანობს თემში, ვინ წარმართავს დღესასწაულს? ესენი მომსახურენი — მომზირები არიან, რომელთაც ევალებათ მლოცველთა მიმართ სხვადასხვა ვალდებულებათა შესრულება. მომზირი იყო მრევლის შესანიშნავების უშუალო შემწირველი და მათი სახელით მლოცველ-მთავადრებელი. მომზირებს ევალებათ წინასწარი სამზადისის განევა ეკლესიისა და გალავნის დასუფთავება, წყლის და შუშის მოტანა, ჭურჭლის მომზადება; მოლჩენიშისა და სტუმრის გამასპინძლება ხორცის მონახრება და გულ-ღვიძლის შეწვა, ხმიადების, არაყისა და ლემზირების განაწილება. მაგ., ხორცის მარაგი ზარულს — მეღვლე-ს ებარა; ხორცის დაჭრა — დარიგება მულგაფ-ის მოვალეობა იყო. ერთი მომზირი — მოსგაშა არაყის მიმღებ-მომვლელს წარმოადგენდა, ხოლო მათ განმანაწილებლად ხუთი მემგენე იყო გამოყოფილი. არაყის ჩამომრიგებელს წააქვდა და იქმნა და ერქვა, ეს „თანამდებობაც“ რამდენიმე მომზირს ეკავა. გარდა აღნიშნულისა ქუთებისა და ლემზირების დამრიგებლად ორი კაცი იყო გამოყოფილი.

მომზირებად თემის თითქმის ყველა სრულასაკოვან წევრს ირჩევენ; ისინი მორიგეობით ემსახურებიან დღესასწაულს, ხალხისა და სალოცავის დროებითი მსახურები არიან. მთავარი მომზირი — დღესასწაულის წინამძღოლის და ჯვრის დამკავებელი ყველა არ შეიძლება იყოს, ამ „თანამდებობაზე“ რჩეულ — კარგ მეტყველ და ძლიერ კაცს ასახელებენ. მომზირები უვლიან ფულად შემონირულებას. რომელიც სათემო საკუთრებაა და თემის საერთო საქმეს ხმარდება.

ადგილზე მუშაობის დროს ბევრი საყურადღებო წეს-ჩვეულება დადასტურდა, მაგრამ ამ წერილში მათი სრული აღწერილობის შესაძლებლობა არ გვაქვს.

როგორც აღვნიშნეთ, დროშის დღესასწაულზე მიტანა აუცილებელი შესასრულებელი წესი იყო ყველა მოლჩენიშისათვის. გაზაფხულზე ამალეობას — მოსავლის სალოცავ დღეს, მამაკაცი ტყეში არყის ან ფიჭვის მაღალ, სწორ და წვრილ ხეს მოჭრიდა, გაატყავებდა, სარს გააკეთებდა და იქვე შეინახავდა, ხოლო დღესასწაულის წინა დღეს შინ მიიტანდა და სუფთა ადგილზე მოფარებულში დადებდა.

დღესასწაულზე მოლჩენიშის ოჯახის უფროსი ან ახალშობილის მამა ღვატს ჰადიშიდან წმ. გიორგის სახელობის ეკლესიამდე მხრით მიიტანდა. ძველად ღვატის სიგრძე 9 მეტრს არ აღემატებოდა. ეხლა კი 9-დან 15 მეტრის სიგრძის ღვატს აკეთებენ. მოლჩენიშს დროშისათვის მიჰქონდა აგრეთვე სწორკუთხა თეთრი ან ღია ფერის ქსოვილი — „დურში“, რომელიც ამჟამად სხვადასხვა ფერის ფაბრიკულმა თავსაფარმა შეცვალა.

ეკლესიაში ღვატის, სხვა შესანიშნავის მიტანისა და ლოცვა-ვედრების შემდეგ, დიდი ღმერთის მოკლე სადიდებელს იტყვიან და ახალშობილი



ვაფის — „ჭყინტის“ სახელზე ილოცებენ. ხოლო „ჯვარზე ლოცვის“ დაწყებაში — ეკლესიიდან წმ. გიორგის ხატის და ჯვარის გამოსუფნებებს უწინ, თვითეული მოღწენიში ღვატს თავსაფარს შეაბამს და ეკლესიის მომხრეებით ბორცვზე აღმართავს. პირველი (ზოგიერთი მონათხრობით ყველაზე მაღალი) დროშის გვერდით სხვაც დროშით დადგება და ასე საზეიმოდ განწყობილ ხალხს დროშები ერთმანეთიდან უჭირავთ ხელში.

„დურში“ და მისი სიმაღლე ისევე, როგორც ეკლესიამდე მისი მოტანის წესი, სიძლიერის და ბედნიერების ნიშანია და თემში სახელად ითვლება.

ამის შემდეგ მომზირებს ეკლესიიდან გამოაქვთ ჯვარი, წმ. გიორგის ხატი და პროცესიის თანხლებით დროშებისაკენ მიემართებიან; მსვლელობის დროს მამაკაცები ჯვარაგის სადიდებელს იმღერებენ. დროშასთან პირველი ის მომზირი დადგება, რომელსაც ჯვარი უჭირავს. შემდეგ უფროსობის რიგით მეორე — წმ. გიორგის ხატის დამჭერი, შემოწირულების მომტანთა აღმწესხველი და შემოწირულების შემკრები დგას. იწყება ლოცვა, როგორც თემის, ასევე ჰასვიშ-ნიბაშინის იმ წელს დაბადებული ვაჟიშვილების სახელზე. დალოცვის დროს მომზირი იძახის „ამე-ე-ნ-ს“; შემდეგ იგი ყველა მოღწენიშს სათითაოდ დალოცავს, იტყვის იმის სახელს და გვარს ვისც ფული შეწირა თვითეულს წმ. გიორგის სახელით დაამწყალობნებს, ოჯახს, სიხარულს, ვაჟიშვილების გამრავლებას და ბედნიერებას უსურვებს. ფულის შემწირველი დალოცვის დროს ჯვარს ემთხვევა და წმ. გიორგის ხატის წინ პირჯვარს დაიწერს. მომზირი დაიძახებს „ამე-ე-ნ-ს“. და ხალხი გაიმეორებს. დამწყალობნებული დროშა და მისი პატრონი მწყობრიდან გამოვა, ხოლო მოღწენიშები და სხვა შემწირველები ხატის წინ დგანან და დღესასწაულის დამთავრებამდე რიტუალში მონაწილეობენ. ამ დროს ხდება, როგორც ხატზე დაფიცება, ასევე ხატზე გადაცემა და სხვ.

დროშის მწყობრიდან გამოსვლის მერე მომზირები და მლოცველები მაღლა მიიწევენ და მამაკაცები ისევ ჯვარაგის სადიდებელს იმღერებენ. ხოლო მესამედ ჯვარაგის შესრულება იქ იციან, სადაც პირველად დროშა აღმართეს. დამწყალობნების დამთავრების შემდეგ დროშებს დაუშვებენ და მზის გადახრის დროს თავსაფრებს მოხსნიან, რომელთაც მეორე დღეს მაცხოვრის სახელობის ეკლესიაში შეინახავენ.

შემდეგ სუფრებს გაშლიან, სუფრის სავალდებულო სადღეგრძელოებს სვამენ და მზის ჩასვლამდე მოილხენენ. წინათ ჯვარაგის ეზოში ცეკვა-თამაში და სიმღერა აკრძალული ყოფილა. იგი შეეძლოთ გაემართათ მხოლოდ ლიჩენიშის ხევის (ტიბრა) იქეთ; გალავნიდან საკმაოდ მოშორებით. ახლა ამ წესს თითქმის არ იცავენ.

მსგავსი წეს-ჩვეულება სრულდებოდა რაჭაში. აქ ვაფის სახელზე ზარ შემბული დროშის შეწირვა, ლოცვა-ვედრება და შესაწირავის მიძღვნა, აღდგომის შემდეგ ორშაბათს ან ოთხშაბათს გორგონთობას იცოდნენ. დროშა არა მარტო აღდგომამდე დაბადებული ვაფის სახელზე უნდა შეეწირათ, არამედ ყველა მამაკაცის სახელზე. აქ გვხვდება აგრეთვე ვაფის სიცოცხლისა და დღეგრძელობისათვის გამართული სხვადასხვა დღესასწაული.



ერთი წლის ვაჟის სახელზე ლოცვა-ვედრება იციან აგრეთვე ბეროს (ზ. სვან.) თემის სოფელ გულში. წმ. გაბრიელის სახელობის ეკლესიაში ან მცხეთის სახელობის ქალაში „გაბრიელ ლარე“-ში ორი მუხის ხეა, რომელთა ნაცრუ ტომბრის თვეში 7-ის ან 9-ის მთვარეზე მოდიან და იმ წელს დაბადებული ვაჟის სახელზე შესანიშნავით ლოცულობენ. ერთ ხის ძირში, რომელსაც „მისალოცი ხე“ ეწოდება, მიწაში თავმოყრილია წმ. გაბრიელის სახელობის მძივები, რომელთაგან ყველაზე დიდი მნიშვნელობა ქარვისფერ მძივს აქვს. შესანიშნავის მიტანისა და ლოცვა-ვედრების შემდეგ მლოცველი მუხის ძირში მძივს მოძებნის — მიწაში ხელს შეყოფს და ამბობს: „ღმერთო წმ. გაბრიელის მძივი შემახვედრეთ“. თუ ქარვის მძივი შეხვდა, თვლის, რომ წმ. გაბრიელის მძივი ნახა და მისი ლოცვა-ვედრება შეწყნარებული იქნება. უდავოა, რომ მძივის საკრალურ ფერს მნიშვნელობა ჰქონდა. მძივს ბავშვი (რომლის სახელზეც ლოცვა ტარდება) ერთი წელი გულზე ატარებს, ხოლო ერთი წლის მერე მისი ოჯახი შესანიშნავით სალოცავად ისევ მივა, ძველ მძივთან ერთად ახალ მძივს წაიღებს და ორივეს მუხის ხის ქვეშ მიწაში ჩაფლავს. თუ მლოცველი აქ მძივს ვერ ნახავს, მას წმ. გაბრიელის სახელობის ეკლესიიდან წამოიღებს და სრულდება ყველა ის წესი, რაც ღამისა-სიათებელია და ზემოთ აღვნიშნეთ.

ერთი სიტყვით, ასეთია წმინდა ხალხური მასალები, სადაც ნათლად ჩანს ვაჟის არსებობით განპირობებული ვითარება.

დავუბრუნდეთ ისევ დროშას. ტრადიციით გადმოცემულ და დაკანონებულ ამ წესზე ვ. ბარდაველიძე წერს, რომ იგი ტოტემური ხისგან შობის სიმულაციაა, რომელიც ასტრალური რელიგიის განვითარების მაღალ საფეხურზე სოლარულ კულტანაა დაკავშირებული და სიცოცხლისა და ნაყოფიერების ხეა.²

ამ მოსაზრებას აძლიერებს ისიც რომ დროშა resp, ხე, ხატი, რომელთაგანაც ლოცვა სრულდება, ასტრალური სიმბოლოებით: ზარით (ჭექაქუხილის სიმბოლო) ან მძივით იყო შემკული და მასთან მძივის მიძღვნის რიტუალი სრულდებოდა. ე. ი. საკულტო დროშაში ერთ-ერთ მთავარ სიმბოლურ ატრიბუტად სხივოსანი მზის გამოსახვაა მიჩნეული.

მთავარი ისიც არის, რაც ვ. ბარდაველიძის ნაშრომში ზემოთ მოტანილ ფრაზას მოსდევს, რომ აღნიშნული წესი ღვთიშვილის მიერ თავის მეთემის ბავშვის შვილად აყვანის მისტერიაა, ხოლო დროშა ღვთიშვილის მაგიერი, რომლის ძალითაც ყრმა სათემო ღვთაების მფარველობას იღებს.³

მასალაში კარგად ჩანს არა მარტო ის თუ რისი სიმბოლო იყო დროშა ძველად, არამედ ისიც გამოსჭვივის რა როლი ჰქონდა მას რიტუალის დროს. დროშა ამ შემთხვევაში აერთიანებს ორ ასპექტს სოციალურს და რელიგიურს.

აღძრულ საკითხთან დაკავშირებით გვაგონდება ნ. მარის მოსაზრება, სადაც ჯვარი და ხატი ხისა (მეგრ. ჯა) და ძელის ფუძისეულ მნიშვნელობამდე დაყვანილი⁴ ე. ი. ხე და ძელი თავდაპირველად საკულტო ხის აღმნიშვნელი ყოფილა.

ლ. ბოჭორიშვილის მიხედვით დროშა, ჯვარი და ხატი ღვთაების ძა-



ლის მქონე ერთი და იგივე ობიექტებია. ისიც უნდა ითქვას, რომ საკულტო დროშის ძველ სახელწოდებად ჯვარია მიჩნეული.⁵

დროშა, რომ უხსოვარი დროიდან ჰქონია ჩვენ ხალხს, ეს დასტურდება არქეოლოგიური მონაპოვრებით. ამ მხრივ მეტად საინტერესოა ელინისტური ხანის საკულტო ხასიათის არქეოლოგიური მასალა სოფელ ხოვლედან, რომელიც ჯ. გვასალიას ვარაუდით უნდა ეკუთვნოდეს ერთ-ერთი ძველი ტიპის რელიგიურ-რიტუალურ დროშას შტანდარტს (ბორაყს), რომლის ქრონოლოგიური არსებობა ძველ და ახალ წელთაღრიცხვათა მიჯნით განისაზღვრება.⁶ ამ დროშის შემადგენელი ნაწილები იყო მძივები და ოქროს საღებავი გამოსახული მნათობი.

აღბათ აღნიშნული პრინციპი უდევს საფუძვლად მჭადიჯვრის დროშას, რომელზეც ჯვარი და ასტრალური ნიშნებია გამოსახული.⁷

ეს ყველაფერი ნინაქრისტიანულ პერიოდს განეკუთვნება.

ასტრალური ნიშნებით გამოსახული დროშა და საკულტო ხე resp ხატი სიმბოლურად გამოხატავდა კეთილდღეობას, სიუხვს, სიცოცხლის განახლება-აღორძინებას. იგი უკავშირდებოდა ქართველთა უძველეს წარმოდგენებს სიცოცხლის ხის შესახებ, რომლის თანახმად ხე ქვეყნიერების აგებულებისა და მისი მუდმივი კვდომა-განახლების სიმბოლო იყო. ამიტომ არის, რომ დროშას არა მარტი ყრმის შვილად აყვანა-მფარველობა შეეძლო, არამედ ძის გაჩენა, გამრავლება და განკურნება.⁸ დროშა იყო ავი თვალის და ყოველგვარი ავი სულების განმდევნელი და უბედური შემთხვევით დაღუპული მიცვალებულის სულის გამომხსნელი.⁹ დროშას აგრარულ კულტშიც საპატიო ადგილი ეკავა.¹⁰

დროშას არც შემდეგ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა. იგი იყო თავისუფლების, დამოუკიდებლობის და გამარჯვების სიმბოლო, აღბათ მის მიმართ დიდი მოწინებაც ამით აიხსნება.

1 მ. შავალთია, წარმართული ხასიათის ზოგიერთი საკულტო ძეგლი სვანეთში, სვანეთი, თბ., 1977, გვ. 28-30.

2 ე. ბარდაველიძე, სიცოცხლისა და სიუხვის ხე ქართველთა სარწმუნოებაში, საქართველოს ეთნოგრაფიის საკითხები, თბ., 1968, გვ. 54.

3 ე. ბარდაველიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 51, 52, 53.

4 Март Н. Я. О религиозных верованиях абхазов.

5 ლ. ბოქორიშვილი, ხევისთქელა „ჯვარი“, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, 1961, გვ. 85-86.

6 ქ. გვასალია, ელინისტური ხანის საკულტო ხასიათის არქეოლოგიური მასალა სოფელ ხოვლედან, მას. საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, ტ. XVI-XVII, თბ., 1972, გვ. 48.

7 ს. ბარდაველი, ქართული დროშები, 1953.

8 ე. ერაშვილი, „საწულესა“ და „მისამბარესო“ წესები ხევისთქელთა, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის XVI-XVII, თბ., 1972, გვ. 180-182;

მ. გეგეშიძე, კოჭორი, კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, თბ., 1966, გვ. 208-209.

9 ე. ბარდაველიძე, ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები, თბ., 1953

10 ყ. რუხაძე, ხალხური დღესასწაულები და თანამედროვეობა, თბ., 1980, გვ. 21.

მადონა ხაზარაძე

შინამრეწველობის ერთი ღარის ისტორიისათვის საქართველოში

536A

საქართველოში ნსული ნაწარმის დამზადება საკმაოდ განვითარებული ყოფილა. მას იმდენად ფართო გამოყენება ჰქონდა და აქვს, რომ მის გარეშე წარმოუდგენელია ქართველი კაცის მეურნეობა. მიდის იგი ყანაში, სტებს სიძინდს, კრფს ყურძენს, მიაქვს ხილი ან სხვა პროდუქტი ბაზარში გასაყიდად, ის ყოველთვის ნსული ნაწარმით სარგებლობდა და სარგებლობს. შინამრეწველობის ეს დარგი დღესაც განაგრძობს თავის არსებობას, თუმცა მისი მასშტაბები საგრძნობლად შემცირებულია.


საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში გვხვდება ნსული ჭურჭელ-სათავსები, რომლებიც მრავალფეროვანი და საინტერესოა როგორც ფორმით, ასევე დამზადების ტექნიკით და ტერმინოლოგიით. ზოგიერთი მათგანი ისეთი იშვიათი სიფაქიზითა და სინატიფით გამოირჩევა, რომ ხელოვნების ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს. წენის ხელოვნების ცხოველმყოფელობა უნდა აიხსნას იმ გარემოებით, რომ ნსული ჭურჭელ-სათავსები მოხერხებული, მსუბუქი და ტევადია. კარგად არის შეგუებული ჩვენი კუთხის როგორც მთის, ისე ბარის სამეურნეო პირობებს. აქვე გასათვალისწინებელია ის საუკუნეობრივი ტრადიციები, რაც წენის ტექნიკას გააჩნია საქართველოში და რაზეც არქეოლოგიური მასალა და წერილობითი წყაროები მეტყველებს.

არქეოლოგიურა ვათხრების შედეგად (V ათასწლეულის II ნახევარი იმირი, შულავერი, კოლხეთის დაბლობი) აღმოჩენილია თიხის ჭურჭლის ძირებზე აღბეჭდილი წმინდა ნსულები¹.

ძველ ქართულ წერილობით წყაროებში წენის აღმნიშვნელ ტერმინად მოხსენიებულია **თხზვა**, **განთხზვა** **საბელნი**, **თხზვიდა** **სირასა**...² დღეისათვის ეს ტერმინი მხოლოდ აჭარულ დიალექტში ჩანს დაცული. **ნათხზენი**. დაწნულს ნიშნავს³.

ნსული ჭურჭლის სახეობები მდიდრადაა წარმოდგენილი იმ რეგიონებში (კახეთი, ქართლი, გურია, სამეგრელო, იმერეთი, რაჭა, მცხეთი), სადაც მევენახეობა და მეხილეობა ინტენსიურადაა განვითარებული.

ნსული ჭურჭელ-სათავსები, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული მეტად მრავალფეროვანია. მათი ფორმები და ზომები ფუნქციით არის გაპირობებული. მაგ., დიდი, პატივითა და ბზით გალესილი გოდორი მარცვლეულის შესანახი სათავსია, რომელიც ძირითადად საქართველოს მთაშია (ხევსურეთი, ფშავი, მთიულეთ-გუდამაყარი, თუშეთი, ხევი, რაჭა, სვანეთი) გაავრცელებული. პატარა ზომის გოდორი — გოდრულა ყურძნის გადასაზიდად იხმარება კახეთში. ლანება-წვრილი და მაღალი ვოდორი. ასევე ხურ-



გიდელი.


«Гидели».

ინისა და ხილის გადასაზიდია ლეჩხუმში; გორიცა გურიაში ზურგზე მოსაკიდებელი გოდორია და მრავალი სხვა.

წნული ჭურჭლის დასამზადებლად სხვადასხვა მასალას იყენებენ. უპირატესობა ტირიფს და მის სახესხვაობებს — ძენწას, მდგნალს, წნორს, მანულს, უძლევა. იყენებენ აგრეთვე თხილს, შინდს, უზანს, სიმინდის ფუნჯასა და პურის ნამჯას.

საქართველოში გავრცელებული წნული ჭურჭლებიდან ფორმითა და ფუნქციით ყურადღებას იპყრობს მოგრძო, პირგანიერი და ძირნაწვეტილი უყურო გოდორი — გიდელი|გედლა.

გიდელი წნელისა და ტკეჩისაგან მზადდება. ტკეჩისაგან დამზადებული გიდელი გავრცელებულია გურია-აჭარასა, სამეგრელოში, ლეჩხუმსა და ქვემო იმერეთში. ხოლო წნელისაგან დამზადებული გიდელი გავრცელებულია მხოლოდ მესხეთში. გიდელი მალლარი ვენახისა და ხილის საკრფი ჭურჭელია.




ნახალი.

«Хахали».

გიდლის მთავარი საყრდენი ნაწილი წაბლის ხის, ჭეჭრელის — (გურულად ლუკუმბა, ლუკუხო), მუხის ან ქორაფის მსხვილი ღეროა, რომელსაც ცეცხლზე ათბობენ და ოთხივე მხრიდან მსხვილ ტყეჭებს „ხდიან“. შუაში დარჩენილ ხის გულს ამოჭრიან, ბოლოს კი გიდლის ძირად ტოვებენ. გურიაში მას კუშტული, ლეჩხუმში — მუჯურო, აჭარაში — კუნჭულო, სამეგრელოში — კურსული ეწოდება. გიდელს თხილის თხელი ტყეჩით წნავენ, რომელსაც შემდეგი წესით „ხდიან“. საშუალო სისქის (დაახლოებით 2 სმ) „ობოლ“ ტოტს დანით ჩაჭრიან, მუხლზე მოხრიან და მარჯვენა ხელის შუა თითის დახმარებით ხის კანს თანდათან აცლიან. წენა გიდლის ძირიდან იწყება. წერილი ტყეჩი გიდლის საყრდენს ჯვარედინად გადაეწყნება. საეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში მიჩნეულია, რომ წენის ამ წესმა ქსოვის ტექნიკას ჩაუყარა საფუძველი. იგი წნული ნაწარმის დამზადების ძირითადი წესია¹. წენა მარჯვნიდან მარცხნივ სრულდება. შუა ნა-

ხახალი.
Хахали.



ველის ხაწური.
Цедилка.



წილში გიდელი ოდნავ ფართოვდება, რისთვისაც მას ისევ მსხვილ ტკეჩებს უმატებენ. დასასრულ გიდლის თავს შემოწნავენ — მსხვილ ტკეჩს ვადაახვევენ ზემოდან, რასაც გურიაში თავის მორცხვა, აჭარაში — თავის მოთიკრა, მესხეთში — თავის გადახვევა, იმერეთში — თავის გადაქნა ეწოდება. გიდელს თოქს სახელურს უკეთებენ, რომელზეც ხის კავი — ღალკილი¹ ღვანღვალი არის მიმაგრებული.

მაღლარის კრფისას ხეზე ასული მკრეფავი სავსე გიდელს ზევიდან ჩამოუშვებს და სიმღერა „აგიდელას“ წამოიწყებს.

დანარჩენი მკრეფავები ყოფინით ბანს აძლევენ. გიდლის მცლელი საესე გიდელს თოქს მოაშორებს, ცარიელს დაკიდებს და ასძახებს: „მშვიდობით ჩამოდიო“².

მესხური გიდელი, როგორც აღვნიშნეთ წნელისაგან მზადდება. მისი მთავარი საყრდენი ნაწილი — „დედანი — ქაცვის — (მესხურად — ჭვარტლა ეკალი³ შავი ეკალი) ტოტია, რომელსაც ბუნებრივად გაზრდილი 4 ან 5 ღერო აქვს.

საქართველოს სხვა კუთხეებშიც ვხვდებით კალათებს გიდლის სახელწოდებით, მაგრამ მათ მარტო სახელიღა შემორჩათ.



რაჭაში გიდელი ცილინდრული ფორმის, ერთ გვერდზე ოდნავ ბრტყეულად დაკლული კალათია, რომელსაც უმეტესად ზურგით ეზიდებიან. გიდელით გადასაწყობი ყურძენი, ხილი და სხვა პროდუქტები. ასეთივე ფორმისა და ფუნქციისაა სვანური გიდელი. აღმოსავლეთ საქართველოში (ქიზიყი, გარე კახეთი) გიდელი პურეულის წებურის, ნამჯის მრგვალი, უყურო კალათია. აკად. ივ. ჯავახიშვილის მასალებით იმერეთში გიდელი ყურძნის ჩასაწყობი ქურჭელია. მასში კალათიდან ყურძენს გადააწყობდნენ ხოლმე. ასეთი გიდელი 1—1,5 ფუთამდე ყურძენს იტევს.⁶

საყურადღებოა, რომ ტანეთში, შავშეთსა და კლარჯეთშიც ყოფილა გავრცელებული გიდელი (გუდელის სახელწოდებით ცნობილი, სირიანე-ტილი კალათი ყურძნისა და ხილის გადასაზიდად).⁷

ზემოაღნიშნული მასალებიდან ირკვევა, რომ გიდელი საქართველოში ფართოდ გავრცელებული ქურჭელი ჩანს და იგი ფორმისა და ფუნქციის სხვადასხვა ვარიაციით არის წარმოდგენილი. როგორც ჩანს, მისი თავდაპირველი დანიშნულება მხოლოდ მაღლარი ვენახის კრეფასთან არ უნდა იყოს დაკავშირებული. იგი ამავე დროს ხილის საკრეფი ქურჭელიც უნდა ყოფილიყო. შემდგომში მან ზოგ შემთხვევაში თავისი ძირითადი ფუნქცია დაკარგა და გადასაზიდ საშუალებად იქცა. ამრიგად, გიდელი, ჩვენი აზრით, თავისი ფუნქციით მევენახეობისა (მაღლარი ვაზი) და მეხილეობის კულტურის ელემენტი უნდა იყოს, რომლის გავრცელების არეალი უმთავრესად დასავლეთ და სამხრეთ საქართველოთი (მესხეთი) იფარგლება.

დღეისათვის შინამრეწველობის ეს დარგი — წვნა თანდათანობით კარგავს თავის მნიშვნელობას და ადგილს უთმობს უხეშად დამზადებულ სამრეწველო ნაწარმს. ეს გარემოება თანამედროვე ეპოქაში, რასაკვირველია, კანონზომიერი მოვლენაა. მაგრამ ხალხური შემოქმედების ეს დარგი დღეისათვის შეიძლება შენარჩუნებული და განვითარებული იყოს სხვა დანიშნულებით, კერძოდ სუვენირებისა და დეკორატიული დანიშნულების საგნების დამზადებისათვის. ცნობილია, რომ ამ ბოლო დროს ჩვენთან განსაკუთრებით მოწონებით სარგებლობს საზღვარგარეთიდან და საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებიდან შემოტანილი სხვადასხვა დანიშნულების ნული ქურჭელი და ამ დროს, ჩვენ ვერ ვახერხებთ ეროვნული სიმდიდრის სათანადოდ წარმოჩენასა და შემდგომ განვითარებას.

¹ ი. ჯავახიძე, აღ. ჯავახიშვილი, უძველესი მწათომქმედი მოსახლეობის კულტურა საქართველოში, თბ., 1971, გვ. 83; ნ. ხორტაია, „ღობა ვეშტა“, კოლხეთის ძველი მოსახლეობა, საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. V, 2, 1944, გვ. 210.

² თანე მისი, ლიხონარი, თბ., 1960, გვ. 87, ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.

³ შ. ნიქარაძე, ქართული ენის აჭარული დიალექტი, ლექსიკა, ბათუმი, 1971, გვ. 343.

⁴ Н. Сокольский, Деревообрабатывающее ремесло в античных государствах Северного Причерноморья, М., 1971, стр. 244.

⁵ ი. წულაძე, ეთნოგრაფიული გურია, თბ., 1971, გვ. 52.

⁶ ივ. ჯავახიშვილი, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიის ისტორიისათვის, წ. 1, თბ., 1964, გვ. 21.

⁷ Н. Марр, Из поездки в Турецкий Лазистан, С. П., 1910, с. 632. Его же. Дневник поездки в Шаршву и Кларджетин. Тексты и розыскания по Армено-Грузинской филологии, кн. 7, С. П. 1911, с. 7.

თავილა ცაბარიშვილი

ხალხური ქვაზე კვთილოვის ნიშნები

ქვემო ქართლში, ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვხვდებით ნასოფლარების, სკლესიების, ციხე-კოშკების ნაშთებს, მიტოვებულ სამარხებს. ისტორიის ბედუკუღმართობას მრავალი მათგანისთვის თავისი მსახერგელი ხელი დაუტყვია, მაგრამ რაც სადღეისოდ გადარჩენილა ისიც კმარა ამ „მენინაკე“ კუთხის დიდებული წარსულის აღსადგენად.

ამჟამად ჩვენი დაკვირვების საგანს წარმოადგენს სამარხების მოხატული ქვები, რომლებიც მრავლადაა გაბნეული ქვემო ქართლის რიგი სოფლების მიტოვებულ სასაფლაოებზე. ამგვარი ტიპის სამარხის ქვებს ვხვდებით ახალ სამარხებზეც, ისინი მეტად მნიშვნელოვანი ეთნოგრაფიული ღირებულებისაა.

სამარხის ქვები და მათი მხატვრობა სპეციალური დაკვირვების საგანს წარმოადგენს უპირველეს ყოვლისა ხალხური ქვაზე კვთილოვის ამ დარგში ქართველი ხალხის მხატვრული გემოვნების განვითარების თვალსაზრისით, ჩვენთვის კი საინტერესოა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მიდგომით.

ამ ჩვეულებრივ ოთხკუთხედ სამარხ ქვებზე გამოსახულია ეთნოგრაფიულად საინტერესო ბევრი ისეთი დეტალი (საომარი თუ შრომის იარაღები, სარიტუალო საგნები, სამეურნეო ინვენტარი, შრომის სხვადასხვა პროცესი), რომელთა მიხედვით შეიძლება წარმოდგენის შექმნა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო დანიშნულების საგნებზე, ჩაცმა-დახურვის ხასიათსა და მეურნეობის განვითარებულ დარგებზე. ცალკე შესწავლის ღირსია სამარხების ქვებზე მოცემული წარწერები, რომელიც მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს დამწერლობის განვითარების ისტორიისათვის.

ამ წარწერებში მოცემულია ბევრი საინტერესო მასალა, რომელზედაც წერილობით ძეგლებში მცირე ცნობები მოგვეპოვება. ამის საილუსტრაციოდ შეიძლება წარმოვადგინოთ პროფ. გ. ჩიტაიას ნაშრომი „პიტარეთისა და გუდარეხის საფლავის ქვები“, სადაც ავტორმა სამარხის ქვების წარწერების საუბუქველზე, რომელიც განმტკიცებულია ისტორიული დოკუმენტებითა და „ქართლის ცხოვრების“ მონაცემებით, დაათარია პიტარეთის ეკლესიის მეორედ განახლების ფაქტი, დაადგინა, რომ XVII ს-ში გუდარეხის ეკლესია ითვლებოდა გერმანოზისშვილების საძვლედ, ხოლო პიტარეთის — ორბელიანთა საგვაროვნო აკლდამად, და ნათლად წარმოგვიჩინა ბარათაანთ-ორბელიშვილების გვარის გენეალოგია XVII—XVIII საუკუნეებისთვის.



სამარხის ქვების შესწავლას საქართველოში დიდი ხნის ისტორია არა აქვს. თავდაპირველად ბროსესა და ბართლომეის მიუქცევიათ ყურადღება მისთვის, მაგრამ მათი ინტერესი უმთავრესად საფლავის ქვების წარწერების გამოქვეყნებით დამთავრებულა¹. გამოქვეყნებულია პიტარეთის ტაძრის ერთი, და გუდარების სამი წარწერა.

ბროსეს შემდეგ ხელოვნების ამ ხასიათის ძეგლებისადმი ინტერესი კლებულობს.

სამარხის ქვების ინტენსიურ შესწავლასა და ფიქსირებას საფუძველი ჩაეყარა 20-30-იან წლებში, როდესაც გამოქვეყნდა გ. ჩიტაიას ნაშრომი „პიტარეთისა და გუდარების საფლავის ქვები“.

1937 წ. ენიშკის-ეთნოგრაფიულმა ექსპედიციამ იმერეთში (ბალდაღის რაიონი) მუშაობის დროს აღწერა იქ გავრცელებული ორნამენტირებული სამარხის ქვები.

თიანეთის რაიონის სოფ. ყუბოტას სამარხის ქვები აღწერა და გააანალიზა პროფ. ვ. ბარდაველიძემ თავის დღიურში „იერის ფშავლები“².

ქვემო ქართლში გავრცელებული სამარხის ქვების ტიპები აღწერა ლ. ბოჭორიშვილმა, ხოლო ალგეთის ხეობაში ს. ბედუკაძემ. ცალკეულ ცნობებს სამარხის ქვების შესახებ ვხვდებით ივ. ჯავახიშვილის, თ. ყორღანიას, შ. ამირანაშვილის, ს. მაკალათიას ნ. ბერძენიშვილის, ჯ. სონღულაშვილის და სხვათა ნაშრომებში.

თუ შევადარებთ ლიტერატურაში ცნობილ საქართველოს სხვადასხვა რაიონებში გავრცელებულ სამარხის ქვების ტიპებს, დავინახავთ, რომ იმერეთში გავრცელებული ორნამენტირებული სამარხის ქვები უფრო მსუბუქია, რადგან მინის პირად დადგმული მხრიდან გულამოღარულია, განსხვავებით ქვემო ქართლში და სოფ. ყუბოტაში (თიანეთი) გავრცელებულ სამარხის ქვებისა. იმერეთის სამარხის ქვებისთვის დამახასიათებელია ორნამენტები ე. წ. „ლაზური“³.

ს. ყუბოტაში და ქვემო ქართლში გავრცელებულ ორნამენტირებულ სამარხის ქვებში მცენარულ ორნამენტს მეორეხარისხოვანი როლი ეკისრება. წინა პლანზე ადამიანის გამოსახულება ეროვნული ჩაცმულობით. ს. ყუბოტას სამარხის ქვების ორნამენტი გაკეთებულია დაბალი რელიეფით შესრულებულია ფერებში.

ქვემო ქართლში მასიურადაა გავრცელებული მძიმე, ბრტყელი სამარხის ქვა (სოფ. სოფისი, დუმანისი, პიტარეთი, გუდარები, ვაკე, სამშვილდე, კლდისი, ქსოვრეთი, მანვეარი და სხვ.) იგი არის ოთხკუთხედიანი, გრძელი და მაღალგვერდებიანი, სამარხის ქვის ზედაპირის ნაპირები 5-7 სმ. სისქეზე ორნამენტირებულია სადა ან ჩუქურთმიანი დაბალი რელიეფით. შიგ ზის ადამიანის გამოსახულება ეროვნული ტანსაცმლით ან ევროპული კოსტუმით იმის მიხედვით, თუ რომელ პერიოდს განეკუთვნება სამარხის ქვა. სამარხის ქვის გვერდით ნაწილებზე მოცემულია ცალკეული დეტალები და წარწერა, სადაც მითითებულია მიცვალებულის ვინაობა, გარდაცვალების თარიღი და მიცვალებულისადმი მიძღვნილი ტექსტი, შესაბამისად იმისა, თუ რა ასაკის, პროფესიის ან მდგომარეობის ადამიანი იყო, მაგრამ მთავარი და არსებითი სამარხის ქვის ზოგად მოხაზულობაში დე-



სამარხის ქვაქანდაკება ს. ტბისიდან.
(აწეამად დაცულია ღია ციხვეშა მუზე-
უმში).

Надгробный камень-памятник из
с. Тбиси. (Ныне находится в музее
под открытым небом).

სამარხის ქვა აჩანში შებზული
ხარებას დეტალით. სოფ. ვაკე.

Надгробный камень. Деталь из
с. Ваке.





ტალების სახით არის გადმოცემული. იმის მიხედვით, თუ რა პროფესიის იყო ეს ადამიანი ქვებზე ვხვდებით დეტალურ გამოსახულებებს: სვეტიცხოველი რავი მანქანა, მაკრატელი, დუქარდი, სალამური, გრდემლი და ჩაქუჩი, ზედაპირული ბალი, ნამგალი, გუთანი, ცხენი, ოფი, ხმალი, ხანჯალი და მრავალი სხვ.

სამარხის ქვაზე გამოყვანილი დეტალები რამდენიმე სახისაა. უპირველესად გამოირჩევა შინათმოქმედებასთან და მესაქონლეობასთან დაკავშირებული დეტალები. უნდა აღინიშნოს, რომ ქვემო ქართლში ისტორიულად მესაქონლეობა შინათმოქმედების მხარდამხარ მთავარ როლს ასრულებდა მეურნეობის განვითარებაში და ამიტომ მესაქონლეობასთან დაკავშირებულ საქმიანობას მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დათმობოდა ქვემო ქართლის მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებაში. მართლაც, ქვემო ქართლის გლეხობაში ფართოდ არის გავრცელებული საქონლის მოვლა-პატრონობის, მუშაობის, დასვენების თუ საქონლის მკურნალობის პროცესებთან დაკავშირებული მეტად საინტერესო ემპირიული ცოდნა-გამოცდილება, მეურნეობის ეს ტრადიციული დარგი ზედაპირულად აისახა სამარხის ქვების მოხელეობაშიც. ქვემო ქართლის ტერიტორიაზე მასაურად ვხვდებით მესაქონლე გლეხის სამარხის ქვებს, რომელზედაც გამოსახულია ცხვარი, ცხენი, ძროხა, ხარი, სალამური, კომბალი, საწველელი და სხვ.


ასეთი სამარხის ძეგლები გავრცელებული იყო სამშვილდეში, ქსოვრეთში, ვაკეთში, დიდ დაღეთში, ღორისთავში, ღოუბანში, ფარცხისში, ტბისში, დურნუკში, ჩხიკეთაში, პატარა ენაგეთში, იფნარში.

დღეისათვის ეს ძეგლები აღნიშნულ სოფლებში მეტისმეტად დაზიანებული და მისი ცალკეული დეტალებია გადაარჩენილი. შედარებით დაუზიანებელი ასეთი ტიპის ძეგლი ჩვენ დავადასტურეთ სოფ. ტბისში, ეკლესიის ეზოში. ეს არის ჩაჩოქილი ვერძის გამოსახულება, რომელსაც ზურგზე ეკლესიის ნიშნში ადგას. ეს ძეგლი მთლიანად ჯაგნარშია ჩაფლული და უცხო თვალისთვის ძნელად დასანახია.

როცა ლიტერატურაში დადგინდა ამ ზომოზოფული ქვების არსებობა, მაშინვე დაიბადა კითხვა, თუ ვისთვის იქნებოდა იგი განკუთვნილი. უეჭველად იგი უნდა მდგარიყო ისეთი ადამიანის საფლავზე, რომელიც გარეშე მყოფთაგან რაღაცა ნიშნით განსხვავებული იქნებოდა. ასეთ ძეგლებზე წარწერები ან საერთოდ არ ყოფილა, ან დროთა განმავლობაში გაშქრალა.

მაგრამ პირველ შთაბეჭდილებათა და მთხრობელთა გადმოცემით თუ ვიხელმძღვანელებთ, შეიძლება ითქვას, რომ ვერძები მეცხვარეთა საფლავზე უნდა იდგნენ, აღჭურვილი ცხენები (უფრო მეტად იყო გავრცელებული) კი ბრძოლაში დაღუპულ მეომართა საფლავებზე⁴

თვალში საცემია ის გარემოებაც, რომ ძველ, მიტოვებულ სასაფლაოებზე (დაღეთი, დურნუკი და სხვ.) ვხვდებით ხმლით, თოფით, მასრებით და სხვა საომარი იარაღებით აღჭურვილი მეომრის გამოსახულებებს, ან უბრალოდ მხოლოდ საომარ იარაღებს, რაც შეიძლება სწორედ იმ ფაქტზე მეტყველებდეს, რომ აქ დაკრძალული ადამიანები უმეტესად მეომრები უნდა ყოფილიყვნენ და საომარი იარაღიც, როგორც ცხოვრებაში მათთვის




სამარხის ქვაქანდაკება სამშვილდედან

Надгробный камень-памятник
 из Самшвилде.

იმერეთში გავრცელებული საფლავის
 ქვის ტიპი

Надгробный камень
 распространенный в Имеретии.



აუცილებელი საჭირო ნივთი, დაკრძალვის შემდეგ საფლავის ქვებზე იქ-
 ნა გადატანილი.

აქვე თუ გავიხსენებთ ქვემო ქართლის ისტორიულ წარსულს, „სამხ-
 რეთის დიდი შარაგზით“ მუდმივ მოედინებოდა მტრის ურიცხვი რაზმი,
 მეომართა სამარხის ქვების სიუხვეც ცხადი გახდება. ამ შემთხვევაში, შე-

კანზმულ ცხენსა, თუ ცალკე გამოსახულ საბრძოლო იარაღებში, სიცოცხლის ძირითადი აზრია ჩაქსოვილი.

ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში ცნობილია, რომ სამარხის ქვა საფლავების წეს-ჩვეულებათა ერთერთი აუცილებელი კომპონენტი მიცვალებულის კულტის მატერიალური გამოსახულებაა.¹ მიცვალებულის კულტი კი ქართველ ტომებში უხსოვარი დროიდან რომ არსებობს, ამაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ მისი გადმონაშთები საქართველოს სხვადასხვა კუთხის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დიდი მრავალფეროვნებითაა შექონებული. ყოველივე ეს საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ თანამედროვე სამარხის ქვების მოხატულობაშიც ძველი ტრადიციების კვალი ღაცული უნდა იყოს და მთელი რიგი სამარხის ქვები მათზე მოცემული ორნამენტებითა და მხატვრობით, ხალხური ხელოვნების ძველ ფორმებსა და აზროვნების გადმონაშთებს უნდა ასახავდეს.

აღსანიშნავია, რომ ძეგლებზე წარმოდგენილი გამოსახულებანი დეტალების სახით თავდაპირველად „საიქიო ცხოვრებისთვის“ იყო ნაგარაუდები. „საიქიო ცხოვრებისთვის“ საქირო რეალური საგნების ჩაყოლების ჩვეულებამ, რომელიც ქრისტიანულ დოგმებს აღარ შეეფერებოდა, შესაძლებელია ცვლილება განიცადა ამ სახით; რეალური საგნები მათმა მხატვრულმა სიმბოლოებმა შესცვალა, მაგალითად, მთიულთა რწმენით, „სამზეოზე“. დადებულ საფლავის ქვას დიდი მნიშვნელობა აქვს „საიქიოში, მცხოვრები მიცვალებულისთვისაო“. ამიტომაც, რომ საფლავის ქვაზე მიცვალებულს გამოხატავენ ძვირფასი ტანსაცმლით, პურ-ღვინით, საკლავით და თავის საქმიანობისთვის საქირო იარაღით, რომელსაც იგი „სამზეოზე“ ხმარობდა.

¹ გ. ჩიტია, პიტაქთისა და გულარხის საფლავის ქვები, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, IV, 1927 წ., გვ. 112.

² ე. ბარდაველიძე, დიფრი ივრის ფშავლებში, ენიქის — მოამბე XI, 1941 წ. თბ., გვ. 75-87.

³ ამ ტიპის ორნამენტში უმეტესად მოცემულია ხე, ვაზი, ყვავილი, ფრინველი, და სხვა. რამდენადაც ხალხური ორნამენტის ეს ტიპი უფრო კარგად ლაზურ მასალაზე შესწავლილი, ხალხშიც „ლაზური“ ჰქვია, ამიტომ მას ლიტერატურაშიც „ლაზურს“ უწოდებენ, არსებითად იგი ბარული ორნამენტის ტიპია, რადგან ფართოდ შემონახულია ბარის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში. გ. ჩიტია, სიცოცხლის ხის მოტივი ლაზურ ორნამენტში“, ენიქის მოამბე, 1941 წ. ტ. X, გვ. 304.

⁴ ეს აზრი გატარებული აქვს ლუბა ბოკორიშვილს ნაშრომში: „ქვემო ქართლის ისტორიული წარსულიდან“ (საფლავის ძეგლები) გვ. 178.

⁵ ე. ბარდაველიძე, ივრის ფშავლებში, გვ. 74.

1978 წლის გამოკვლევის შედეგები
 (იხეჭდება შემოკლებით)*

წინამდებარე ნარკვევში განხილულია ეკის ნათლისმცემლის სამონასტრო ხუროთმოძღვრული კომპლექსი. იგი მდებარეობს სოფელ ეკში (ცხაკაიას რ-ნი), ქ. ცხაკაიას ჩრდილო-დასავლეთით 15 კმ. მანძილზე.

სოფელ ეკის მოსახლეობა შეფენილია უნაგირას (ეკის) მთის კალთის ბორცვებსა და გორაკებს ხელმისაწვდომ ფერდობებზე (ეკი მეგრულად ნიშნავს აღმართს, უფრო შესატყვისია — „აღმა“).

ეკის ნათლისმცემლის კომპლექსი (ეკლესია, სამრეკლო, პალატი და სხვ. ნაგებობები) გაშენებულია სოფლის ჩრდილოეთით, (საადამიოს) ნაღალი მთის თხემის დავაკებულ ადგილზე და შემოზღუდულია ქვითიკრის ნაღალი გალავნით.

გალავნამდე კარგა მოზრდილი აღმართია ფეხით ასასვლელი. კარგ ამინდში მსუბუქი მანქანაც თავისუფლად ადის გალავნის კარიბჭემდე. ამ მაღლობიდან მეტად ლამაზი გადასახედა; ჩვენს წინ იშლება აკვარკლური ნაირფერებით მოხატული კოლხეთის დაბლობის უმშვენიერესი პეიზაჟი. ისიც არის რომ უღრუბლო ამინდში დასავლეთით. ცის დასაღიერთან — შავი ზღვის ჰორიზონტზე, რატომღაც „შავს“ ვამბობთ, თორემ სინამდვილეში გარკვევით მოჩანს ლაგვარდოვანი ფერის, (ზოგჯერ ვერცხლისწყლისებრივად) მოლაპლაპე ამოზნექილი „სარკის“ ზოლი. დროდადრო აქედან დიდი გემებიც კი შეინიშნება.

ეკის ნათლისმცემლის კომპლექსის ისტორია დღემდე იდუმალებითა და ბურუსითაა მოცული, მის შესახებ ისტორიას არაფერი შემოუნახავს; არც უძველეს გუჯრებსა და ქრონიკებშია ეკის ანსამბლის შესახებ რაიმე ცნობა დაცული. ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ გვიან პერიოდის პუბლიკაციებშიც, XIX ს. ოცდაათიანი წლებიდან გამოცემულ სამეცნიერო ლიტერატურაში არაფერია ცნობილი, იგი ამ პერიოდშიც მკვლევართა მიღმა დარჩენილი. არც საბჭოთა პერიოდის სამეცნიერო ლიტერატურაში არ ყოფილა გამოქვეყნებული ამ ძეგლის არსებობის შესახებ რაიმე უბრალო ცნობაც კი. ამ უცნობ ძეგლს დღემდე მემორიალური დაფაც არა აქვს და არც ოფიციალური მცველი ყოლია არასოდეს უკანასკნელ დრომდე. ამის გამო ეკის სამონასტრო კომპლექსი ახალ ნაპოვნ ძეგლად უნდა იქნას აღიარებული და როგორც ახალი შექნილი ძეგლი მეცნიერულად შესასწავლია. თუ რატომ იყო უგულვებელყოფილი საუკუნეების მანძილზე ეს ფრიად მნიშვნელოვანი სამონასტრო კომპლექსი, ჯერ კიდევ ამოუცნობი რჩება.

რამდენიმე სიტყვით მინდა მკითხველის ყურადღება გაავაძახილო ძეგლის სახელდების შესახებ; როგორც ირკვევა ეკის სამონასტრო კომპლექსი აგებულია „იოანე ნათლისმცემლის“ სახელზე. მსგავსი სახელწოდების

* 1980 წლის კვლევის შედეგები ცალკე იქნება გამოქვეყნებული.

ეკლესიები გვხვდება საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში-ქახეთში, სამცხეში, საინგილოში, იმერეთში, გურიაში და სხვ.

ადგილობრივი მოსახლეობა მას „ნათლისმცემელს“ ან კიდევ (ამ სახელწოდების) „ოხვამეს“ უწოდებს. ხანდაზმული მოხუცები მას იოანეს კი არა, ივანეს სახელს უკავშირებენ, რის გამოც ტრადიციული სახალხო დღესასწაულიც „ხვამიანობა“ (მცხეთობის, ალავერდობის და ქურმუხობის შესავსად) უხსოვარ დროიდან ყოფილა დამკვიდრებული, 24 ივანობის თვეს (24 ივნისს ძველი სტილით). ხოლო მეორე ტერმინი „ოხვამე“, მეგრულად სამლოცველოს ნიშნავს. როგორც ჩანს ეს ტერმინი საკულტო დანიშნულობისაა, რომლის ფუძე „ხვამა“ (ლოცვა) — „ოხვამე“ — რი (სალოცავი) შორეული წარსულიდან მომდინარეობს; მეცნიერების აზრით მის წარმოშობას წარმართულ სარწმუნოებასთან უდევს სათავე. ტერმინ ეკლესიამ თავისი სინონიმი „ოხვამე“ საუკუნეების მანძილზე ვერ განდევნა ხალხური მეტყველებიდან და დღესაც სამეგრელოში ეკლესიას ყველგან „ოხვამეს“ ეძახიან.

სამეგრელოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დადასტურებულია, რომ არსებობდა მრავალი „ოხვამერი“ (სალოცავი), რომლის რიტუალი სრულდებოდა მარანში. უხსოვარი დროიდან მარანი სამეგრელოში აღიარებული იყო, როგორც სამლოცველო, (წმიდა ადგილი).¹ ამ წეს-ჩვეულებამ ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელების შემდეგაც გადმოინაცვლა და მტკიცედ დამკვიდრდა, ამიტომაც ტერმინი „ოხვამე“ ქრისტიანულ-სამლოცველო შენობასაც დაერქვა. ასეთია ტერმინი „ოხვამეს“ ეტიმოლოგიის შესახებ მოკლე განმარტება.

გალავანი. მონასტრის საკმაოდ ვრცელი ეზო შემოზღუდულია ქვეთკირის მაღალი გალავნით; მისი ზოგიერთი ადგილი ჩამოქცეულია, განსაკუთრებით კარიბჭის განიერ ლიობს დაკარგული აქვს ადრინდელი ფორმა — უსწორმასწოროდაა მეტნაკლებად გაგანიერებული. გალავნის წყობა სხვადასხვა ზომის (კაჭარის) კირქვითაა აგებული კირის დულაბზე. გალავანს ბევრგან აჩნია ნგრევისა და აღდგენის კვალი.

დულაბის ინერტულ შემადგენლობაში კარგად გამოირჩევა კვარცისა და სხვა ქანების მსხვილმარცვლოვანი კენჭები, რომლებიც კირის ხსნარითაა („კონწით“) შეზავებული და დროთა ვითარებაში დულაბი და ქვა ისეა ერთმანეთში ჩაკირული, რომ გალავნის წყობა „კონგლომერაციულ“ ერთ მკვრივ შეცემენტებულ მონოლითურ მასას წარმოადგენს.

სამშენებლო ტექნიკის მაღალი დონის წყალობით ეკის ნათლისმცემლის კომპლექსმა გაუძლო ჟამთა ქარტყილებს, ბუნების სტიქიას, მაგრამ ყველაზე დიდი ხელყოფა, მაინც ადამიანისაგან აქვს მიყენებული, როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, გარედან მოსულიცა და შინაურიც მაინც ადამიანი ყოფილა მისი შემმუსხრელი.

გალავანი დავაკებული ადგილის კონტურს გასდევს და ისეა რელიეფზე მორგებული, რომ მოხაზულობაც დაახლოებით მის ანალოგიურად აქვს მიღებული.


გალავნით შემოზღუდულ მონასტრის ვრცელ ეზოში ცენტრალური ადგილი ეკლესიას უკავია. რომელიც გალავნის კარიბჭიდან მარცხნივ დაახ-



ეკი. სამრეკლოს მეორე სართულის
საერთო ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან
(ავტორის ფოტო).

Монастырский комплекс Эки.
Общий вид второго этажа.
(Фото автора).

ლოებით 20 მეტრითაა დაშორებული; გალანის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში აღმართულია ორსართულიანი სამრეკლო, იქვე სამრეკლოს აღმოსავლეთით დგას ორსართულიანი შენობის ნანგრევები, რომელსაც აქ „პალატს“ უწოდებენ. სამრეკლოს ჩრდილოეთიდან მიშენებული აქვს ე. წ. დილეგი; პალატის გაგრძელებაზე აღმოსავლეთით შეინიშნება აგრეთვე მიწასთან გასწორებული უძველესი შენობათა კონტურები, რომელთა გამოსავლენად საჭიროა კედლის საგულდაგულოდ განმენდა ჯაგნარისაგან ასეთია ეკის ნათლისმცემლის სამონასტრო კომპლექსის სიტუაციურ გეგმაზე ობიექტების განაშენიანების (განლაგების) სქემა.



ეკლ. ივანე ნათლისმცემლის ეკლესიის
გეგმა (ავტორის ანაზომი).

Экз. План монастыря.

ეკლესია. ეკის ნათლისმცემლის ეკლესია („ოხვამე“), გეგმის კომპოზიციისა და მოცულობითი ფორმის მიხედვით განეკუთვნება საქართველოში ფართოდ გავრცელებულ დარბაზული ტიპის (ერთნავიან) მცირე მოცულობის უგუმბათო ეკლესიების ჯგუფს.

გეგმის კომპოზიცია. ეკის ნათლისმცემლის ეკლესიის ახლანდელ გეგმას წაგრძელებული სწორკუთხედის ფორმა აქვს, რომელიც აღმოაველეთით, ნახევარწრიული აფსიდითა ბოლოვდება.

ეკლესიის გეგმა ერთი გრძელი დარბაზისაგან შედგება კვადრატული მოყვანილობის ორი მასიური სვეტი, რომელიც დაახლოებით დარბაზის




ეკი. ნათლისშცემლის საერთო ზედი სამ-
ხრეთ-დასავლეთისაკენ (ავტორის ფოტო).

ეკი. ნათლისშცემლის ეკლესიის პირ-
ველი განუოფილები (კორპუსის) აღრინ-
დელი გეგმა, ავტორის რეკონსტრუქცია.

Эки. Общий вид к юго-западу.
(Фото автора).

Эки. Первоначальный план первого
отделения монастыря.
(Реконструкция автора).



შუაშია აღმართული, შიდა სივრცეს ორგანოფილებიან სახეს აძლევს, რომელიც ერთ ნაგშია მოქცეული.

აღნიშნული ნავის პირველი განყოფილების (დასავლეთი ნაწილის) კედლების სისქე 100 სმ. უდრის, ხოლო მეორე განყოფილების (აღმოსავლეთი ნაწილის) კედლებისა კი უფრო თხელია (70 სმ. არ აღემატება).

ნავის პირველი და მეორე ნაწილის გრძივი კედლების ქვის წყობა სვეტების გასწვრივ ერთმანეთთან არაა გადაბმული. ეს ადგილები გამოყოფილია ე. წ. „სამშენებლო ნაკერით“; ისინი შიგნიდან ხსნართაა გადალესილი; ხოლო გარედან ნაკერის ხაზი შენობას მთელ სიმაღლეზე მიყვება და იგი დაუფარავად გარკვევით ჩანს.

აფსიდის ცილინდრული კედლის ცენტრში ერთი საშუქი სარკმელია მოთავსებული. იქვე კედლის სისქეში მარჯვნივ და მარცხნივ მცირე ზომის ნიშისებრი შეღრმავებაა დატოვებული განჯინის თუ სხვა დანიშნულებისათვის. დარბაზის პირველი განყოფილების გეგმა ზედმიწევნით სიმეტრიულია. ვერტიკალური სიმეტრიის ღერძზე დასავლეთის კედელზე კარიბჭის ღიობია მოთავსებული, ხოლო ჩრდილოეთი და სამხრეთი მხარის კედლებში ერთმანეთის პირდაპირ ორ-ორი მოზრდილი სარკმელია გამოჭრილი. დარბაზის ამ განყოფილების კედლებში ოთხი მცირე ზომის შეღრმავებაა დატოვებული (იხ. გეგმა).

დარბაზის მეორე განყოფილების (კორპუსის) სამხრეთის კედელზედაც აგრეთვე ერთი კარიბჭეა მოთავსებული. ამ განყოფილების ჩრდილოეთის კედელზე შემოსხენებული პატარა ნიშების ანალოგიურად ერთი ნიშისებრი შეღრმავებაა გამოკვეთილი.

როგორც გეგმიდან ჩანს ეკლესიის შიდა სივრცე ერთმანეთზე მიშენებული სხვადასხვა მოცულობის ორი განყოფილებისაგან (ორი კორპუსისაგან) შედგება და ერთი მთლიანი დარბაზის შთაბეჭდილებას ტოვებს.

გეგმაზე ცხადად იკითხება მშენებლობის ორი პერიოდი — ჩვენი აზრით, ქრონოლოგიურად შენობის დასავლეთი მხარის ის ნაწილი, რომელიც „სამშენებლო ნაკერთაა“ გამოყოფილი. დარბაზის „პირველი განყოფილება“, (როგორც დამოუკიდებელი ცალკე ნაგებობა) კარგა ხნით ადრე უნდა იყოს აგებული, ხოლო დარბაზის მეორე განყოფილება (აღმოსავლეთი ნაწილი) ცხადაა მერეა, უფრო გვიან მიშენებული.

საინტერესოა ვიცოდეთ თუ როგორი იყო ეკის ნათლისმცემლის ეკლესიის შემოსხენებული „პირველი განყოფილების“ (დასავლეთი ნაწილის) თავდაპირველი სახე, რომელიც, როგორც ზემოთაც აღნიშნეთ გაცილებით ადრეა აგებული.

უპირველეს ყოვლისა ამის დადგენა შესაძლებელია გეგმარების იმ უძველესი კომპონენტების საფუძველზე რომლებიც არავითარ ეჭვს არ იწვევს და თან ახლავთ გეგმის იმ ნაწილს, რომლის შესაბამაც გვაქვს საუბარი.

ექსტერიერის მოცულობითი ფორმები (მასები). მონასტრის ეზოს სრულრმეში წელმარცხნივ დგას მორუხო ფერის მცირე ზომის ეკლესია, რომელსაც სამონასტრო კომპლექსის გენერალურ გეგმაზე ცენტრალური ადგილი უკავია.



ეკ. ნათლისმცენლის ეკლესიის კარიბჭის ჩარჩოს შორეთულობის ფრაგმენტი დასავლეთის ფასადზე.

Эки. Фрагмент на стене западного фасада.

პირველი შთაბეჭდილება შორიდან შეიძლება ითქვას მცირე მოცულობითი მარტივი ფორმების გამო არავითარ ემოციურ ესთეტიკურ განცდებს არ იწვევს და უფერულადაც გამოიყურება, მაგრამ თანდათანობით ძეგლთან მიახლოებისას ნატიფი — ხატოვანი მიჩქმალული ორნამენტების გამოჩენა ეკლესიის კედლებიდან მოულოდნელად იპყრობს დამთვალეიერების ყურადღებას. პირველი უფერული შთაბეჭდილებებიც ანაზღეულად ქრება და მნახველი თვალს ვერ აშორებს ძეგლის მხატვრულად დამუშავებულ ქვებში სიძველემოკლებულ, „მიძინებული ორნამენტების“ მრავალფეროვნებას.

აღნიშნული ძეგლის მარტივი მასები სხვადასხვა სიდიდის ერთნაირი ფორმის მცირე მოცულობის ერთმანეთზე მიდგმულ ორ ეკლესიას მოგვაგონებს.



ეკის ნათლისმცემლის ხუროთმოძღვრულ კომპლექსში დღემდე შემორჩენილია ქვაზე ამოკვეთილი მრავალფეროვანი სტილიზებული ორნამენტები და სხვადასხვებ სახის განუმეორებელი სიფაქიზით (გეომეტრიული მოტივებით) შესრულებული ნწულები. ისინი ისტორიის ისეთი დაფანტული ფურცლებია, რომლებშიც აშკარად იკითხება ეკის „ნათლისმცემლის“ გამაღასული ცხოვრების ბურუსით მოცული ისტორია.

ხსენებული ორნამენტებიანი ქვები თვითონვე ლადადებენ ეკის „ნათლისმცემლის“ დრამატიზმით სავსე მძიმე თავგადასავალს. ეკლესიისა და სამრევლოს კედლებიდან ამოცვნილი თუ ჩამონგრეული რელიეფურ-ორნამენტებიანი ქვები უხვადაა მიმოფანტული მათვე შემოგარენში. მათ შორის რამდენიმე ცალი კანკელისა და ტრაპეზის მხატვრულად დამუშავებული უძველესი ქვებიცაა შემორჩენილი, რომლებიც ეკლესიის შიგნით უთავბოლოდაა აქეთ-იქით მიყრილი.

ფასადების კომპოზიცია. გეგმისა და მოცულობითი ფორმების განსხვავება მშენებლობის ძველ და ახალ პერიოდებს შორის კიდევ უფრო ძლიერად და აშკარად მჟღავნდება განსაკუთრებით ფასადების ხუროთმოძღვრულ-მხატვრულ დამუშავებაში.

